5732

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 27 ივნისი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 26 (185) ფასი 30 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ამხ. სტალინმა დამავალეს გა- ოვიდე შემდეგი განცხადებით:

დღეს, დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის არუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ვენს ქვეყანას, იერიში მიიტანეს ჩვენს საზღვრებზე ბევრ ადგილას და თა- ისი თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს—ჟიტო- რს, კიევს, სევასტოპოლს, კაუნასსა და ზოგიერთ სხვას, ამასთან მოკლული ა დაჭრილია 200-ზე მეტი კაცი. მტრის თვითმფრინავების თავდასხმა და არტილერიით სროლა მოხდა აგრეთვე რუმინეთისა და ფინეთის ტერიტო- იიდან.

ეს გაუგონარი თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე წარმოადგენს ცივილიზებულ ლხთა ისტორიაში უმაგალითო მუხანათობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა ხდა მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადე- ლია ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და საბჭოთა მთავრობა ელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პი- ობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელ- კრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში გერმანიის მთავ- ობას ერთხელაც არ შეეძლო წარედგინა სსრ კავშირისათვის არცერთი ეტენზია ხელშეკრულების შესრულების მხრივ. მთელი პასუხისმგებლობა ბჭოთა კავშირზე ამ ყაჩაღური თავდასხმისათვის მთლიანად და სავსებით სრებათ გერმანიის ფაშისტ მმართველებს.

უკვე მომხდარი თავდასხმის შემდეგ გერმანიის ელჩმა მოსკოვში შულენ- რგმა დილის 5 საათსა და 30 წუთზე თავისი მთავრობის სახელით განმიც- ა მე, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რომ გერმანიის მთა- ობამ გადასწყვიტა დაიწყოს ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის აღ- სავლეთ საზღვართან წითელი არმიის ნაწილების თავმოყრასთან დაკავ- რებით.

ამის საპასუხოდ მე საბჭოთა მთავრობის სახელით განვუცხადე, რომ ანასკნელ წუთამდე გერმანიის მთავრობას არავითარი პრეტენზია არ წა- დგენია საბჭოთა მთავრობისათვის, რომ გერმანია თავს დაესხა სსრ კავ- ის, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოზიციისა, და მ ამით ფაშისტური გერმანია, თავდამსხმელ მხარეს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით მე აგრეთვე უნდა განვაცხა- , რომ ჩვენს ჯარებს და ჩვენს ავიაციას არცერთ პუნქტში არ დაუშვიათ ღვრის დარღვევა და ამიტომ რუმინეთის რადიოს მიერ დღეს დილით გა- ებული განცხადება, თითქოს საბჭოთა ავიაციამ სროლა აუტეხა რუმინე- აეროდრომებს, მტკნარ სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს. ასე- ვე სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს მთელი დღევანდელი დეკ- ლაცია ჰიტლერისა, რომელიც ცდილობს უკანა რიცხვით შეთითხნოს სა- ლდებო მასალა საბჭოთა კავშირის მიერ საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქ- შეუსრულებლობის შესახებ.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა უკვე მოხდა, საბჭოთა ვრობამ ჩვენს ჯარებს უბრძანა უკუაგდონ ყაჩაღური თავდასხმა და გან- ონ გერმანიის ჯარები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან.

ეს ომი ჩვენ თავზე მოგვახვია არა გერმანელმა ხალხმა, არა გერმანელ- უშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, რომელთა ტანჯვაც ჩვენ კარგად მის, არამედ გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ, ლებმაც დაიმონეს ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, სერბები, ნორვე- ბელგია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი და სხვა ხალხები.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ჩვენი ვი არმია, ფლოტი და საბჭოთა ავიაციის უშიშარი შევარდნები ღირსე- დ მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინა- ა გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ აგრესორს.

ჩვენს ხალხს პირველად როდი უხდება თავდამსხმელ გათავხედებულ თან შეხვედრა. ერთ დროს ნაპოლეონის ლაშქრობას რუსეთში ჩვენმა მა სამამულო ომით უპასუხა, და ნაპოლეონი დამარცხდა, მან კრახი ადა. ასევე მოუვა გათავხედებულ ჰიტლერსაც, რომელმაც ჩვენი ქვე- წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა გამოაცხადა. წითელი არმია და მთელი ი ხალხი კვლავ გააჩაღებენ ძლევამოსილ სამამულო ომს სამშობლოსა- , ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი ყნის მთელი მოსახლეობა, ყველა მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, აკაცები და ქალები ჯეროვანი შეგნებით მოეკიდებიან თავიანთ მოვალეო- , თავიანთ შრომას. ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასოდეს არა ყოფილა. თვითეულმა ნგანმა თავისთავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზე- ლობა, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის შესაფერი თავგანწირვა, რათა უზ- ნველვყოთ წითელი არმიის, ფლოტისა და ავიაციის მთელი საჭიროება, თა უზრუნველვყოთ მტერზე გამარჯვება.

მთავრობა მოგიწოდებთ თქვენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქენო, კიდევ ფრო შეამჭიდროოთ თქვენი რიგები ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარ- იის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიდი ბელადის მხ. **სტალინის** გარშემო.

ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ვენ დაგვრჩება.

მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძოლებს ყაჩაღ თავდამსხმელების წინააღმდეგ

შალვა დადიანი

ამ აღმაშფოთებელ წუთებში ძნელია დალაგებით ლაპარაკი, მხოლოდ ის არის მთავარი, რომ გრძნობ, შენც მთელს შენს დიდ სოციალისტურ სამშობლოსთან ერთად ერთის მტკიცე აზრით ხარ შეპყრობილი, ერთის ურყევი გადაწყვეტილებით ხარ გამსჭვალული, რომ გერმანელი ფაშისტების მუხანათურ საქციელს მთელის სისასტიკით უპასუხო და საკადრისი მიუზღო.

თვალთმაქცური ნიღაბი მოიხადა მტერმა და გამოჩნდა მისი საზიზღარი მხეცური სახე.

საბჭოთა საქართველოც თავისი შრომელი მოსახლეობით, როგორც ერთი კაცი, თავდადებით იბრძოლებს ყაჩაღ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. საქართველოს თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მანძილზე ბევრჯერ შემოსევია მტრის ურდოები, მაგრამ საყვარელ სამშობლოს დასაცავად, მისი კულტურული განძისა და სახის შესანახად მას გამოუჩენია უაღრესად გმირული ქმედობანი და საკადრისი მიუზღავს მოძალადეებისადმი.

დღეს უფრო ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, რადგან ის იბრძოლებს არა მარტო, არამედ რუსეთის დიდ ხალხთან ერთად, ერთად იმ მეზობელ რესპუბლიკებთან, რომელთანაც მას უკვე აერთებს ხალხთა სტალინური ურყევი მეგობრობა.

ჩვენ საქართველოს საბჭოთა მწერლებიც, როგორც ყოველთვის, ეხლაც ვიდგებით სამშობლოს თავდაცვის საქმეში მოწინავე რიგებში და უფრო მეტის ენერგიით ვიბრძოლებთ როგორც კალმით, ისე სხვა მქუხარ იარაღითაც.

მეც კი, ხანდაზმული და მოხუცი, მზადა ვარ თვით ჩემი სისხლის დაღვრით დავამტკიცო, თუ რა ტკბილია სამშობლოსათვის თავის განწირვა.

ამიტომ დღეს სიტყვები ისე არ გვჭირდება, როგორც საქმე.

ამ საქმეს, მწამს, დიდებულად განახორციელებს ჩვენი უძლეველი წითელი არმია, საზღვაო ფლოტი და ავიაცია.

ამ საქმეს ჩვეულის სიბრძნითა და სიმტკიცით გაუძღვება ჩვენი სახელოვანი პარტია და ჩვენი გულის საყვარელი, ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი — დიდი **სტალინი**.

დღეგრძელდეს იგი!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლენინგრადის, ბალტიისპირეთის განსაკუთრებულ, დასავლეთის განსაკუთრებულ, კიევის განსაკუთრებულ, ოდესის, ხარკოვის, ორიოლის, მოსკოვის, არხანგელსკის, ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქებში სამხედრო ვალდებულთა მობილიზაციის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის „ლ“ პუნქტის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს მობილიზაციას ლენინგრადის, ბალტიისპირეთის განსაკუთრებულ, დასავლეთის განსაკუთრებულ, კიევის განსაკუთრებულ, ოდესის, ხარკოვის, ორიოლის, მოსკოვის, არხანგელსკის, ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე.

მობილიზაცია ეხება იმ სამხედრო ვალდებულთ, რომელნიც დაბადებული არიან 1905 წელს და შემდგომ წლებში 1918 წლამდე ჩათვლით.

მობილიზაციის პირველ დღედ ჩაითვალოს 1941 წლის 23 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1941 წ. 22 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, და საომარი მოქმედების რაიონებში სამხედრო ტრიბუნალთა დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს დებულება სამხედრო ტრიბუნალების შემოღებისა იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, და საომარი მოქმედების რაიონებში.

2. აღნიშნული დებულების მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებული წესი სამხედრო ტრიბუნალების მიერ საქმეთა განხილვისა იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, და საომარი მოქმედების რაიონებში, ძალაში შედის სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის და სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საერთო ბრძანებით და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1941 წ. 22 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ცალკეულ ადგილებში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის „პ“ პუნქტის საფუძველზე გამოცხადდეს სამხედრო წესები არხანგელსკის ოლქში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ვოლოგდის ოლქში, ვორონეჟის ოლქში, ივანოვოს ოლქში, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში, კალინინის ოლქში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმის ასს რესპუბლიკაში, კურსკის ოლქში, ლიტვის სს რესპუბლიკაში, ლატვიის სს რესპუბლიკაში, ქალაქ ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, მურმანსკის ოლქში, ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, ორიოლის ოლქში, როსტოვის ოლქში, რიაზანის ოლქში, სმოლენსკის ოლქში, ტულის ოლქში, უკრაინის სს რესპუბლიკაში, ესტონეთის სს რესპუბლიკასა და იაროსლავლის ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1941 წ. 22 ივნისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა

25 ივნისს მტრის მოძრავი ნაწილები შემოტევას ანვითარებდნენ ვილნოსა და ბარანოვიჩის მიმართულებებით.

საბჭოთა ავიაციის დიდი შენაერთები დღის განმავლობაში წარმატებით ებრძოდნენ მტრის ტანკებს ამ მიმართულებით. ბრძოლის პროცესში მტრის ცალკეულმა სატანკო ჯგუფებმა შესძლეს ვილნოს რაიონში, ოშმიანში შემოჭრა.

ჩვენი სახმელეთო ჯარის შეუპოვარი წინააღმდეგობისა და აქტიური მოქმედების შედეგად ამ მიმართულებებით მტრის ქვეითი ჯარის შენაერთები მოწყვეტილი არიან თავიანთ სატანკო ნაწილებს.

მტრის ცდას—გაარღვიოს რკალი ბროდისა და ლვოვის მიმართულებით ძლიერ წინააღმდეგობას უწევს კონტრშეტევაზე გადასული წითელი არმიის ჯარი, რომელსაც ჩვენი ავიაცია მძლავრი იერიშების მიტანით ეხმარება. ბრძოლის შედეგად მტრის მექანიზებულ შენაერთებს დიდი ზარალი ადგებათ. ბრძოლა გრძელდება.

ჩვენმა ჯარმა სწრაფი კონტრიერიშით კვლავ დაიკავა პერემიშლი.

ჩერნოვიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის დიდი იერიში, რომელიც მდინარე პრუტის გადმოლახვას ცდილობდა.

ფრონტის ბესარაბიის უბანზე წითელი არმიის ჯარს მტკიცედ უჭირავს პოზიციები მდინარე პრუტის აღმოსავლეთ ნაპირზე და წარმატებით იგერიებს მტრის მრავალგზის ცდას გადმოლახოს იგი. სკულენის რაიონში მტერმა სცადა შეტევაზე გადმოსულიყო, მაგრამ მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა, მის ნაშთებს მდინარე პრუტის გადაღმა ვერეკებით. ხელთ ვიგდეთ გერმანელი და რუმინელი ტყვეები.

ჩვენმა ავიაციამ არაერთი გამანადგურებელი იერიში მიიტანა გერმანელთა აეროდრომებზე ფინეთში, ყუმბარა დაუშინა მემელს, მტრის გემებს ლიბავის ჩრდილოეთით და კონსტანცის ნავსადგურის ნავთის ქალაქს.

25 ივნისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლის დროს და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია მტრის 76 თვითმფრინავი, ამასთან ჩვენი 17 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

გერმანელმა მფრინავმა, რომელიც ტყვედ ჩავიგდეთ მას შემდეგ, რაც მისი თვითმფრინავი ჩვენმა ავიაციამ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე ჩამოაგდო, განაცხადა: „რუსებთან ომი არ გვინდა. ძალით გვაბრძოლებენ ომი მოგვბეზრდა, არ ვიცით რისთვის ვომობთ“.

ფრონტის ერთერთ უბანზე გერმანიის ჯარი ბრძოლაში მთვრალი მოდიოდა და დიდ ზარალს ნახულობდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს: „ბრძოლის დაწყებამდე წინ არაყს გვასმევენო“.

№ ნაწილის ახალგაზრდა მეომარი მეზენიტეები ბრძოლის პირველ დღეს ჯერ კიდევ გაუბედავად ესროდნენ მტრის თვითმფრინავებს. მეორე დღეს ეს მეომრები უფრო გაბედულად მოქმედებდნენ, მარჯვედ ისროდნენ და დღის განმავლობაში გერმანიის 9 ყუმბარმშენი ჩამოაგდეს.

№ საავიაციო ნაწილის ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლის დროს მტრის 10 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. პოლკის მეთაურმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მაიორმა კოროპკოვმა მტრის ორი ყუმბარმშენი ჩამოაგდო; მსროლელმა რადისტმა შიშკოვიჩმა საბრძოლო დავალების შესრულების დროს ჩამოაგდო მტრის ორი თვითმფრინავი „მესერშმიდტის“ სისტემისა. მეთაური სოროკინის თვითმფრინავთა ცხრეულზე საბრძოლო დავალების შესრულებისას იერიში მიიტანა მტრის 15 თვითმფრინავმა; მან ბრძოლის დროს ჩამოაგდო 6 თვითმფრინავი და დაჰკარგა 4 თვითმფრინავი. ორივე ფეხში დაჭრილმა მაიორმა იაჩმენევმა უარი სთქვა ჰოსპიტალში წასვლაზე და თავის საბრძოლო ამოცანის შესრულებას განაგრძობდა.

№ საავიაციო ნაწილის მფრინავებმა (სტანისლავის რაიონი) მტრის 19 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო საზენიტო არტილერიამ — უმცროსი მეთაურების, კოვალიოვისა და მილახოვის გუნდებმა. ამ გუნდების მეომრებმა ტყვედ ჩაიგდეს ოთხი გერმანელი მფრინავი. სულ ტყვედ წამოყვანილია 12 გერმანელი მფრინავი.

გმირულად იბრძოდნენ № საავიაციო პოლკის მფრინავები, რომლებმაც მტრის 13 თვითმფრინავი მოსპეს და ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს.

№ მსროლელთა პოლკის წითელარმიელი რომანოვი მტრის მზვერავ მოტოციკლისტს მიეპარა და მოსპო. ამავე პოლკის ქვედანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა მეზუევმა, რომელიც სამჯერ დაიჭრა, ბრძოლის ველი არ დასტოვა და ბრძოლას განაგრძობდა.

№ სამხედრო შენაერთის სამშენებლო ბატალიონის შოფერმა ოთხი გერმანელი მფრინავი დააკავა, რომლებიც დაზიანებული თვითმფრინავიდან გადმოხტნენ და დამალვას ცდილობდნენ.

ერთერთი სატყვიამფრქვევო ასეულის მეთაური, რომელიც 8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში მტრის მიერ გარშემორტყმული იყო, განუწყვეტლივ ებრძოდა მტერს, იგერიებდა გარშემორტყმულ ჯგუფებს და რამდენჯერმე აღადგინა კავშირი ხანგრძლივად მოქმედ სასროლ პუნქტებთან. მტრის რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად, სატყვიამფრქვევო ასეულის მეთაურმა პოზიცია შეინარჩუნა მაშველი ჯარის მოსვლამდე.

უმცროსმა სერჟანტმა ტროფიმოვმა — ქვემეხის მეთაურმა, ისეთ პირობებში, როდესაც ქვემეხი მტრის მიერ იყო გარშემორტყმული და ქვემეხის საბრძოლო გუნდი მწყობრიდან იყო გამოსული, სეფარში მიიყვანა თავისი ქვემეხის სამი დაჭრილი მეომარი, ხოლო შემდეგ გულდამშვიდებით უშენდა მტერს ტყვიამფრქვევს პირდაპირი დამიზნებით. როდესაც წინააღმდეგობის გაწევა ამაო გახდა (მტრის ტანკები თითქმის ცეცხლის პოზიციებზე იყო) ტროფიმოვმა ქვემეხი ააფეთქა, ხოლო თვითონ მოხერხებულად დააღწია თავი გარშემორტყმულ მტერს.

№ ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა კოშელმა ბრძოლის დროს მარჯვედ მოაწყო ტყვიამფრქვევის სროლის სისტემა. მან გულდამშვიდებით მოუშვა მტერი ახლო მანძილზე და შემდეგ ჯვარედინი სროლა აუტეხა. მოსპობილ იქნა მტრის ორი ასეული.

არის ბევრი ფაქტი, როდესაც გლეხები აქტიურ დახმარებას უწევენ წითელი არმიის ნაწილებს მტრის დივერსანტ-პარაშუტისტთა დაჭერაში. მაგალითად, ხერცის რაიონში გლეხებმა დაიჭირეს და სამხედრო ნაწილში მიიყვანეს სამი დივერსანტი-პარაშუტისტი, რომლებიც თვითმფრინავიდან გადმოხტნენ.

წითელ მებრძოლებს

გიორგი კაჭახიძე

გულს გვიფოლადებს
თქვენი ვაჟა, თქვენი ძახილი,
მტკიცედ მიდიხართ
და მიარხევთ მწყობრად შაშხანებს.
ხალხის ღონეა თქვენი ჯანი, ბასრი მახვილი,
და გამარჯვებულ მზიურ შრომას წინ მიაჩქარებთ.
ლეგიონები ქარიშხლებად უკვე დავძარით,
სისხლის მსმელები მტაცებლური ხელით შეგვეხნენ.
ომი არ გვსურდა,
მაგრამ რაკი გაჩნდა ხანძარი,
უნდა სიმტკიცე, უნდა ძალა მივცეთ ქვემეხებს.
რომ ხმა სამშობლოს მეტი ექნეს,—
და მზის ვარაყი
ემატებოდეს ჩვენს ეზოებს, გზებს და სადგურებს.
შებმა ინებეს?!
ო, ამ მხეცებს ჩვენ იარაღით
ლეკვებიანად ბუნაგშივე გავანადგურებთ.
და პოეტის ხმა, ამ დღეებში შუბად აწვდილი,
იყოს საყვირი
ჩვენი დღის და ჩვენი ბრძოლების;
ლექსი გავიდეს ბრძოლის ველზე, ხანძრად განცდილი,
და ალტაცება მიიტანოს განუზომელი.
გაჭრას, გათელოს ურდანები გმირის მუხლივით,
ვერ შეაჩეროს მტრების რისხვამ, მტრების მუქარამ,
წითელ ლაშქარში ჩადგეს, როგორც ქვეყნის ქუხილი,
და ყოველ მებრძოლს ასროლინოს დროზე ყუმბარა!

პოეტი—მეომარი*

ტ. ჯატიევი

ბლინდაჟებისაკენ გრძელი გზა გვქონდა გასავლელი. ამასობაში ყოველმა ჩვენთაგანმა ბევრ რამეზე მოასწრო ლაპარაკი, ბევრი რამ გაიხსენა.

...მე მომაგონდა მომქმედ წითელ არმიის რიგებში არონ კოპშტეინის ყოფნის პირველი დღეები. პირველად იგი თავს უხერხულად გრძნობდა. მოწყენილი იყო იმის გამო, რომ რიგით მებრძოლად უხდებოდა ყოფნა, ელოდა რაღაც უფრო გრანდიოზულს. ახალი ბზინავი ავტომატის გაწმენდა და გაზეთვა, თხილამურის გაფისვა, შტაბში მორიგეობა ან სადარაჯოზე დგომა, — ყველაფერი ეს არონს „პატარა მასშტაბის" სამუშაოდ მიაჩნდა. მაგრამ მალე მას დაევალა განაყოფის სალაშქრო გაზეთის „ბოევოი ლისტოკის" რედაქტორობა და ძირეული წითელარმიული ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაცია ნაწილში.

არონი აენთო ენთუზიაზმით. „ბოევოი ლისტოკის" გარშემო უცბად დარაზმა აქტივი. კოპშტეინმა განაყოფში გამოსძებნა თავისი მხატვრები, პოეტები, ნარკვევების ავტორები. რედაქტორის შემწეობით ყოველი მებრძოლი სამხედრო კორესპონდენტი ხდებოდა. არონი ეხმარებოდა მათ — აეწერათ თავიანთი გმირული საქმეები და გაეზიარებინათ ამხანაგებისათვის, გაზეთის მკითხველებისათვის, საბრძოლო გამოცდილება. უფრო და უფრო ფართოვდებოდა არონის მოქმედების მასშტაბი. მას დრო აღარა ჰქონდა მოწყენისათვის. არონი უკვე შინაური კაცი გახდა ნაწილის ყველა განაყოფში. საბრძოლო ცხოვრება თოვლში უფრო მეტად და უფრო ძლიერად იტაცებდა მას. კოპშტეინი ყველგან იყო, არც ერთს ბლინდაჟს, არც ერთს მიწურს უნახავს არ სტოვებდა და როგორც კი გამოჩნდებოდა, მაშინვე იკითხავდა — როგორ მოგწონთ „ბოევოი ლისტოკი"-ს ნომერიო. მას ლექსებს აკითხებდნენ. კითხულობდა დიდი გატაცებით და გემოვნებით. ესაუბრებოდა მებრძოლებს, იქვე აძლევდა დავალებებს სამხედრო კორესპონდენტებს. შემდეგ მისწვ-მოსწვევდა ამხანაგებს, დაიჭერდა მოხერხებულ ადგილს და იწყებდა წითელარმიული მებრძოლო ფურცლის გამოშვებას. რაღაც ერთ საათში თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდული იყო ცინცხალი საინტერესო გაზეთი.

ერთხელ მე და არონმა გადავწყვიტეთ, ჩვენი ორსაათიანი დასვენება გაგვეტარებინა ასეულში, სადაც პოლიტხელმძღვანელად იყო ამხანაგი კუზნეცოვი. ამ ასეულის ერთმა მებრძოლმა, კალინინელმა კოლმეურნემ ტერენტიევმა თავისი ტყვიამფრქვევით დაამარცხა, უკუაქცია თეთრფინელთა მთელი ასეული და მაღლობი დაიჭირა.

გზაზე აკვამლებულ ბორცვს წავაწყდით. ბორცვს ქვეშ ბიჭები აღმოჩნდნენ. ფორთხვით დავეშვით „მიწის ქვეშეთში", ავწიეთ კარვის ერთი მხარე, რომელიც კარის მაგიერობას სწევდა, და წავაწყდით მესანგრეებს ლენინგრადელი ორდენოსანი პოეტის ბორის ლიხარევის განაყოფიდან. არონს ბორისის ნახვა ძალიან გაეხარდა. გადაეხვივნენ და გადაჰკოცნეს ერთმანეთი. „შეხვდნენ ერთმანეთს მეგობრები", — გავიფიქრე, მაგრამ არონს მაინც ვაჩქარებდი — წამოსულიყო. არაფერმა არ გასჭრა. ის თავისას განაგრძობდა. გაცხოველებული საუბარი გაიჩაღა. მესანგრეები თავიანთ საბრძოლო ცხოვრების ამბებს ჰყვებოდნენ. კოპშტეინი აქვე დაინტერესდა მათი გაზეთით; ის უკვე კარგა ხანი არ გამოსულიყო. არონმა მისწი-მოსწია ყველანი, მიუჯდა ფანერისაგან გაკეთებულ მაგიდას და შეუდგა საქმეს. იმოდენა ადგილი დაიჭირა ბლინდაჟში, რომ ყველა დანარჩენს გარედ, ყინვაზე მოგვიხდა გასვლა. მალე „საბრძოლო ფურცელი" მზად იყო. მესანგრეები ძალიან გაახარა გაზეთმა, გარშემოერტყნენ და გაერთნენ მისი კითხვით. ჩვენ განვაგრძეთ გზა... არა ერთხელ გამოუშვია არონს ამგვარად გაზეთი.

...აგერ, როგორც იქნა, გამოჩნდა ბლინდაჟები. არონი გამხიარულდა:

— იცოცხლე, ახლა ჩვენ გამოვიძინოთ! — ამბობდა სიცილით არონი.

ჩვენ დაგვხვდა ცივი და ბნელი მიწური, მაგრამ იმ წუთში იგი სასტუმრო „მოსკოვის" ნომერზე ნაკლებად არ გვეჩვენებოდა. დავანთეთ ცეცხლი ბენზინის ბიდონებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ თუნუქის ღუმელებში. მრავალმა ჩვენთაგანმა მშობლებისაგან, მეგობრებისაგან, თავისი ორგანიზაციისაგან უხვი ამანათი მიიღო.

სარდლობას მოხსენდა საბრძოლო დავალების შესრულება. სამხედრო კომისარმა მადლობა გამოუცხადა ესკადრონს და წინადადება მისცა, შეედგინა იმ მებრძოლთა დახასიათება, რომელთაც ამ ოპერაციაში თავი ისახელეს.

O

პოლიტინფორმაციებში აღნიშნული იყვნენ პროხოროვის, ცურკინის, ჩაიჩევსკის, ლარცევის და სხვათა გვარები. პოლიტხელმძღვანელნი და მოსაუბრენი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ სიმამაცეს არონ კოპშტეინისას, რომელსაც იცნობდნენ ნაწილის ფარგლებს იქითაც, როგორც პოეტ-მებრძოლს და რედაქტორს.

მაგრამ არონს ეს გაზვიადებულად მიაჩნდა და ქებას ღებულობდა, როგორც მორიგ ოხუნჯობას. არასოდეს არ იყო გადაჭარბებული აზრისა იმაზე, რასაც აკეთებდა.

დრო არა გვქონდა შეგვესვენებინა. მივწი-მოვწიეთ და შევავიწროვეთ ჩვენი მეგობარი არტილერისტები. მე ვასრულებდი საფრონტო გაზეთის დავალებას, არონი ამზადებდა იმ ღამეს ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციისადმი მიძღვნილ გაორკეცებულ ნომერს „ბოევოი ლისტოკ"-ისას. არონი ჩემზე ბევრად სწრაფად მუშაობდა და ხშირად მეკითხებოდა, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ნომრისათვის.

არტილერისტების მზარეულმა, ჩვენმა ნაცნობმა, მსუყე სუპით სავსე ორი კარდალა, ხორცის ნაჭრები და კარგა მოზრდილი თეთრი პური მოგვიტანა. მზარეულს ესმოდა ჩვენი დაღლილობა, დიდად აფასებდა ღამის ჩვენს მუშაობას, ზრუნავდა ჩვენზე და პატივს გვცემდა.

მე კოვზს დავუწყე ძებნა და ამ დროს საველე ჩანთიდან ძირს დამივარდა კოსტა ხეთაგუროვის წიგნი, საკმაოდ ნათრევი და მოძველებული. წიგნს ხელი სტაცა მსხვილმა, დაბალმა არტილერისტმა. კითხულობდა მას გატაცებით და იმეორებდა:

— ახალი, სრულიად ახალი წიგნია ჩემთვის? მე ასეთი არაფერი მინახავს... რა სიტყვებია! რა ლექსები, პუშკინისებური სტრიქონებია!

მან ხმამაღლა დაუწყო ლექსებს კითხვა. არტილერისტები გარს შემოერტყნენ და ყურადღებით უსმენდნენ. კითხვები კითხვებზე მოგვაყარეს. პასუხს მეტწილად არონი აძლევდა. ის დიდი ხალისით უზიარებდა არტილერისტებს თავის ცოდნას. კვლავ გვკითხეს, ხომ არ გაქვთ კიდევ ლექსებიო. მე მათ მაიაკოვსკის ლექსების წიგნი გადავეცი. მაგრამ არონმა განზე გადასდო წიგნი და დაიწყო მაიაკოვსკის, პუშკინის, შევჩენკოს ლექსების ზეპირად წარმოთქმა. გამოეღვიძათ დაძინებულ არტილერისტებს და ისინიც კმაყოფილებით უსმენდნენ კოპშტეინის დეკლამაციას. მეომრები განაცვიფრა არონის იშვიათმა ნიჭმა და მეხსიერებამ.

გაჩაღდა გაცხოველებული კამათი პოეზიაზე, წიგნებზე, მაგრამ ჩვენ არ გვეცალა. პასუხის გაუცემლობა კი მებრძოლთა შეკითხვებზე უხერხული იყო. იძულებული გავხდით გამოგვეცვალა სამუშაო ადგილი, მიგვეტოვებინა გახურებული სადგომი და გავსულიყავით თოვლზე ფიჭვებს ქვეშ. სხვაგან არსად შესაფერი ადგილი არ მოიძებნებოდა. რის ვაი-ვაგლახით განვაგრძეთ „ბოევოი ლისტოკის" დამზადება, თუმცა ავტომატური კალამი ველარ მუშაობდა — მელანი იყინებოდა.

მაგრამ აქაც არ მოგვასვენეს. ვიღაცას ხმა გაევრცელებინა, არონს ახალი საინტერესო ლექსები დაუწერიაო. მეომრებმა, რომელნიც ღამის ოპერაციების შემდეგ ისვენებდნენ, მოაგნეს მას. არონმა წაუკითხა მათ სახუმარო „ჩასტუშკები", „ბოევოი ლისტოკ"-ისათვის დაწერილი. მებრძოლებმა კიდევ სთხოვეს წაეკითხა. „აუდიტორია" ფართოვდებოდა. მე ყველანი მესამე ოცეულის მიწურში წავიყვანე. როცა ვუთხარი მათ, რომ ახლა არონი ახალ ჩასტუშკებს და ლექსებს წაგიკითხავთ-მეთქი, არონი წითლად გავარვარებულ თუნუქის ღუმელს ახლო მიიყვანეს. მის ირგვლივ მერხებზე, ჩამოსხდნენ და სულგანაბული უსმენდნენ თავიანთ ამხანაგს — პოეტს კოპშტეინს. არონმა წაიკითხა ლექსი „პოეტები", რომელიც ასე თავდებოდა:

«И если я домой вернуся целым.
Когда переживу двадцатый бой,
Я хорошенько высплюсь первым делом

Потом опять пойду на фронт. Любой.

Я стану злым, расчетливым и зорким

Как на посту (по штатски — на часах»).

И как о хлебе, соли и махорке,
Мы снова будем спорить о стихах.

Бьют батареи, вспыхнули зарницы.
А над землянкой—медленный дымок.
«И вечный бой. Покой нам только снится...»

Не Блок, так я сказать бы это мог».

ლექსმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. სამი უძილო ღამით მოქანცული და მთვლემარე მებრძოლნი მესამე ოცეულისა შეიშმუშნენ.

— არონ კოპშტეინ, წაგვიკითხე ლექსები! — ყვიროდნენ ცივი და ბნელი მიწურის სხვადასხვა კუთხიდან.

დაღლილობა გაქრა, რაღაც განახლება იგრძნო ყველამ, ყველის სახე გაუმხიარულდა. განწყობილებამ ერთბაშად აიწია. თვითონ არონს ძალიან უხაროდა და უნდოდა სულ ეკითხა და ეკითხა. ვიღაცამ ცხელი ჩაი მიაწოდა. მაგრამ ჩაის სმას არ აცლიდნენ. მოთმინება არა ჰყოფნიდათ. არონმა მოსვა ჩაი და განაგრძო კითხვა.

მეომრები გვიმასპინძლდებოდნენ თავიანთ ამანათებიდან ამოღებული სხვადასხვა ტკბილეულით: ყველაზე უკეთესად და გემრიელად გვეჩვენა მეომარ ხოლოდკოვის გამასპინძლება: იგი გაგვიმასპინძლდა ძმარში ჩადებული „სელიოდკით".

სამშობლოდან წერილი უფრო მეტი მოდიოდა, ვიდრე ამანათი. არონი აგროვებდა ამ წერილებს „ბოევოი ლისტოკ"-ისათვის. იმ ვითარებაში წერილებმა დაჰკარგეს პირადული, ინტიმური ხასიათი. სამშობლოდან მიღებულ ყოველ სიტყვას ერთმანეთს ხმამაღლა ვუკითხავდით. „სულით და გულით გისურვებთ მტრებზე მალე გამარჯვებას და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას. გკოცნით!" — იწერებოდნენ ცოლები და შვილები, დედები და მამები, ძმები და დები, საყვარელი ქალიშვილები და ზოგჯერ სრულიად უცნობი ადამიანები.

გაისმა ქვემეხების გრიალი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და მდუმარედ დახარეს თავები. ვიცოდით, რომ ახლა ქვემეხების სალიუტით ძმათა საფლავში უშვებდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრების უშიშროებისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის მამაცურად დაღუპულ ამხანაგებს. ჩვენ შევფიცეთ სამაგიერო მიგვეზღო მტრისათვის. სიძულვილი თეთრფინელებისადმი დღითი-დღე ძლიერდებოდა, საბრძოლო სულისკვეთება ყოველ საათს გვემატებოდა. რაც უფრო ბრძოლა ხშირი და სასტიკი ხდებოდა, მით უფრო მეტს მებრძოლსა და მეთაურს შემოჰქონდა განცხადება ბოლშევიკურ პარტიაში შესვლის შესახებ. კომკავშირელმა არონ კოპშტეინმა უკანასკნელი საბრძოლო ოპერაციის წინ სხვა ფრიადოსნებთან ერთად გადმომცა თავისი ასეთი განცხადება. არონმა ნამდვილი სიმამაცე და უშიშარობა გამოიჩინა. მის მიღებას პარტიაში მხურვალედ მოითხოვდნენ კომუნისტები, რომელთაც არონი ფრონტზე გაიცნეს. დოკუმენტები პარტიაში ამხანაგების მიღების შესახებ შენახული მქონდა გიმნასტიორკის ჯიბეში. საღამოს დანიშნული გვქონდა პარტიული კრება.

ორმაგი ნომერი არონმა და ცურკინმა ფანერზე დააკრეს და ფიჭვის ხეს მიაჭედეს ბლინდაჟებთან. გაზეთს გარს შემოერტყნენ მეომრები. გაზეთში შეჯამებული იყო უკანასკნელი ოპერაციის საბრძოლო გამოცდილება, მოთავსებული იყო მოკლე წერილები იმ მეომრებსა და მეთაურებზე, რომლებმაც გმირობით, ვაჟკაცობით ისახელეს თავი უკანასკნელი დღეების ოპერაციებში.

ნომრის ერთ განყოფილებაში მოთავსებული იყო მეომართა წერილები. ეს განყოფილება არონის გრძნობით დაწერილი ლექსით იწყებოდა.

— თოფი ხელში! — ბრძანა მჭახედ მეთაურმა.

ყველა შეინძრა, უმალვე მიატოვეს გაზეთი. გამოძინება არ დაგვცალდა. ბრძანებას „თოფი ხელში" ისეთი ძლიერი სასწაულმომქმედი ძალა აქვს, რომ ფრონტზე მისი გაგონებისთანავე გავიწყდება ყველაფერი, ერთბაშად ჰქრება ძილიც, დაღლილობაც, შიმშილიც, სიცივეც. ფიქრობ მხოლოდ შაშხანაზე, ვაზნებზე, ყუმბარებზე, იმაზე, თუ რა მხრიდან არის მომდგარი მტერი, თუ რა გზით შეიძლება მისი სწრაფი განადგურება.

მარტის მოკლე დღე საღამოს უახლოვდებოდა. გადავიცვით თეთრი ხალათები და დავიძარით კუნძულებისაკენ, სადაც თავიანთ ბუნაგებში მაგრა ისხდნენ თეთრფინელები. მივდიოდით მდუმარედ, უხმაუროდ, მხოლოდ თხილამურებს ქვეშ ხრაშუნებდა გაყინული თოვლი. თხილამურები შეუკავებლად მისრიალებდნენ. სიბნელე უფრო და უფრო მჭიდროდ გვერტყმოდა. სრული წყვდიადი ჩამოდგა. ჭალამში კუნძულები ერთმანეთს გვანდნენ. ისინი თითქოს იმისათვის არიან შექმნილი, რომ მათში მტერი იბუდებოდეს.

ესკადრონი შეჩერდა ერთ-ერთი კუნძულის ტყისპირას. ესკადრონის უფროსმა ჩურჩულით აუხსნა მეთაურებს:

— მტერი ჩასაფრებულია იმ ნაპირზე. ჩვენს წინ ყველა კუნძული გამაგრებულია. მანძილი ჩვენსა და მოწინააღმდეგეს შორის ორასი-სამასი მეტრია. ჩვენი მთავარი ამოცანაა: გავიწიოთ ბრძოლაში მტრის ყველა საცეცხლო წერტილი და არტილერიის დახმარებით გავანადგუროთ ისინი... გავუწმინდოთ გზა მნიშვნელოვანი პუნქტისაკენ — ქალაქ იოენსისკენ.

მეთხილამურენი გაფანტულად მიემართებოდნენ გაყინულ ტბაზე. მარჯვნით მიდიოდა პირველი ასეული, მარცხნით — მესამე. მეორე ასეულის წინ მივდიოდი მე. უკან არონ კოპშტეინი მომყვებოდა. ირგვლივ დუმილი იყო, ისმოდა მხოლოდ თოვლის ხრაშუნი ფეხქვეშ. „ვის უნდა შევუტიოთ, როცა არავინა სჩანს", — უნებურად გავიფიქრე მე. ფინელები, როგორც სჩანს, გუშინდელი ბრძოლის შემდეგ გაპარულან. ტბის შუაგულს მივაღწიეთ. ისევ სიმშვიდეა. სრიალით განვაგრძობთ გზას. აგერ ის კუნძული, სადაც მტერია ჩასაფრებული. თუ გავივლით ცოტას კიდევ, ასორმოცდაათ მეტრს, შეიძლება უფრო ნაკლებს, დავიკავებთ კუნძულს, რომლისათვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა. ჩვენ გავიხსნით გზას ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტებისაკენ.

უცბად მუქ-ბნელი ცა ტბის ზევით დამაბრმავებელი სინათლით გაბრწყინდა. მაშხალები ელვასავით ავარდნენ ზევით და გაფანტეს ღამის წყვდიადი. ერთი წამით ყველანი თოვლში ჩავიმალენით, პირქვე დამხობილნი. მალე მარცხენა ფლანგიდან მტრის ტყვიების ცეცხლოვანი ქარიშხალი ამოვარდა.

— წინ! — გადაურბინა ბრძანებამ ტბის ზედაპირს.

ერთი წუთით შეჩერება ან უკან წაფორხილება ყველას დაგვღუპავდა. მადლობა, დიდი მადლობა ძლევამოსილ რუსულ სიტყვას вперед-ს საბჭოთა ადამიანები არასოდეს, არც ერთს ვითარებაში ამ სიტყვასთან კავშირს არ სწყვეტენ. ფორთხვით მივიწევთ წინ კუნძულისაკენ, რომ საკუთარი სროლით, საკუთარი ცეცხლით თავი არ გამოვააშკარაოთ. მოწინააღმდეგე შეუწყვეტლად გვასხამს ტყვიის წვიმას. ავტომატის პაწაწკინტელა ტყვიები წკარუნობენ წითელ მეომართა ოდნავ ამოყოფილ ლითონის კასკებზე და მაშინვე განზე ხტებიან. ერთი მეორის მიყოლებით, რიგრიგად, განუწყვეტლივ კაკანებენ ტყვიამფრქვევები. ნაღმებით აფეთქებული ლოდების ნამსხვრევები და ყინულის გოროხები მიქრიან მაღლა ჰაერში. ანთებული მაშხალები მიფრინავენ ჩამობნელებულ ცისკენ და ნელ-ნელა ეშვებიან ტბის ზედაპირზე. მაშხალები თვალს სჭრიან მეომრებს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის მძიმედ დაჭრილთა იშვიათი კვნესა. თეთრფინელებმა თავიანთი ცეცხლით მოგვიჭრეს გზა ზურგისაკენ და მოშველების საშუალებას არ აძლევდნენ ჩვენს მარქაფა ძალებს, ჩვენ კი ვცდილობთ დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

ჩვენი მეწინავე ფრთა შეეჯახა მოწინააღმდეგეს. ვინ რომელია და სად არის, ძნელი გასარჩევი იყო. თეთრფინელები ხალათებში იყვნენ ისევე, როგორც ჩვენ. ყუმბარებითა და ნაღმებით გადათხრილ ველის ფონზე უკვე სჩანდა, როგორ გვივლიდნენ მტრის ძალები მარცხენა მხრიდან და როგორ მიიმართებოდნენ ჩვენი ზურგისაკენ. ისმოდა შიუცკორთა აგიტატორების უჭკუო მოწოდება, — ისინი წინადადებას გვაძლევდნენ, ცოცხლად დავნებებულიყავით, გადაგვეგდო თოფები და ხელები აგვეწია.

—მალე ნახავთ, ვინ ასწევს ხელს!— გაისმა ვიღაცას ხმა ჩვენი მხრიდან.

უკვე გამოირკვა, რომ მტერი გარს გვერტყმოდა. სულ ახლო, ჩვენს გვერდით, მტრის ნაღმი გასკდა და ტბის ზედაპირი აათრთოლა. მე ბურთივით ავარდი ჰაერში და უმალვე დავეშვი ყუმბარისაგან ამოთხრილ ძაბრში. პირველად გავირინდე, დავმუნჯდი. მერე ვიგრძენი, თითქოს მარცხენა ფერდი მომწყვეტოდეს... ძაბრიდან ამოუფორთხებლად მარჯვენა ხელით მოვსინჯე მარცხენა. ის თავის ადგილზე აღმოჩნდა. არ მესმოდა, რა დამემართა. მარცხენა ფერდზე დენა დამიწყო თბილმა სითხემ. მარცხენა ხელი წყობიდან გამოვიდა. რატომღაც მე ჯერ კიდევ არა მჯეროდა ეს, თავს ვარწმუნებდი, რომ დაჭრილი არა ვარ. ძალიან არ მინდოდა, შევრიგებოდი ამას.

მაინც ვრჩებოდი ბრძოლის ასპარეზზე. ვითარება ნებას არ მაძლევდა მიმეტოვებინა ამხანაგები, მებრძოლი მეგობრები ისეთ წუთებში, როცა მათი ბედი სწყდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ხელი არ მუშაობს, მარტო ცალი ხელი აკეთებს იმდენს, რამდენსაც სხვა ვითარებაში ვერ გააკეთებდა ოცი ხელი. მე ვხედავ ჩემს მეომრებს და ვეხმარები მათ — იმოქმედონ უფრო თამამად. ვგრძნობ, რომ მხოლოდ გონივრული გამბედაობით და სიმამაცით შეიძლება გამარჯვების მოპოვება. თუ ეს არ არის, დაიღუპები კიდეც და ვერც გაიმარჯვებ.

მამაცი მეომრების ერთი ჯგუფი წარმოუდგენელი სისწრაფით გაქანდა მარცხნივ, ამუშავდა „ჯიბის არტილერია", ჩემგან რამდენიმე მეტრზე აკაკანდა ტყვიამფრქვევი. თეთრი ფიგურები, რომლებიც უცბად ასე გამრავლდნენ, მიწას და თოვლს შეერივნენ. თეთრფინელები მოსტყუვდნენ: ჩვენი შემორტყმის ცდა მარცხით დამთავრდა.

— ოხ, გველებო! ვერ მოგართვით, ვერ შემოერტყით „მოსკალებს"! — გაისმა მჭექარე ხმა ტყვიების წივილსა და ნაღმების გრიალში. ეს იყო ჩვენი კარგი ნაცნობის, კომკავშირელი მეომრის კოლია ოტრადის ხმა. სწორედ მათ, მამაცმა ტყვიამფრქვეველებმა წამოსწიეს წინ უმძიმეს წუთში ტყვიამფრქვევი და დაგვეხმარნენ მოგვეგერებინა მტრის თავდასხმა.

მაშინ მოწინააღმდეგემ უფრო გააძლიერა ჯვარედინი ცეცხლი. ეტყობოდა, მაშველი მოუვიდა. მიწაზე მიგვაკრეს, თოვლსა და ყინულში ჩავიმალენით. ამხანაგების ნაწილმა დაქანებული ადგილი დაიჭირა, ეს თითქმის უშიშარი მიჯნა იყო. თანდათან მოწინააღმდეგეს ტყვიის ცეცხლი ჩვენს თავზევიდან ზურგში გადაჰქონდა, რომ უკან დასახევი გზა გადაეჭრა, მაშველი არ მოეშვათ და რკალში მოვემწყვდიეთ.

რატომღაც ჩვენი არტილერია მიჩუმდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, თეთრფინელებს შვიდ ადგილას გადაეჭრათ ჩვენი მავთული და ჩვენი კავშირი არტილერიასთან გაწყვეტილიყო.

თენდებოდა. შორიდან მოისმა ძლიერი ჰექა-ქუხილი. ისევ განახლდა საარტილერიო კანონადა. ყუმბარები ზუსტად ეცემოდნენ და სკდებოდნენ თეთრფინელთა ბუდეებში. ჩვენი არტილერისტები განსაცვიფრებელი სიზუსტით ურტყამდნენ მიზანში. ჯირკები, ქვები, ყინულის ნამსხვრევები ფრინავდნენ ჰაერში და წყეულ კუნძულზე იფანტებოდნენ. სუნთქვა გაგვიიოლდა და ძალაც მოგვემატა. მტრის რაზმში ისეთი არევ-დარევა, ისეთი აურ-ზაური, ისეთი ლანძღვა-გინება შეიქნა, რომ თავში აზრმა გამიელვა: ახლა ამ ჯოჯოხეთში ფინელი ჯარისკაცები, ალბად, მზად არიან ყელი გამოღადრონ შიუცკორებს და ოფიცრებს. ჩვენ ცოტა განზე გავდექით, რომ გზა დაგვეთმო ჩვენი სახელოვანი არტილერიისათვის. სროლა ისევ გრძელდებოდა, ტყვიები ისევ ხვდებოდა აქტიურად მოქმედი მეთხილამურეების ჩაფხუტებს. ფლანგებიდან წინანდებურად ჰქუხდა და გრიალებდა ყუმბარები.

ცეცხლის რკალიდან მოვათრევ დაჭრილ მეომარს. მკვეთრად ანთებული მაშხალა ჩემ წინ ნელ-ნელა ეშვება და ჩემს თვალწინ უფრო ძლიერად ენთება. მაღლა ავსწიე თავი, ვიგრძენი უეცარი დარტყმა და ძირს დავეცი. თვალებში ცეცხლმა გამიელვა, შემდეგ ჩამომიბნელდა, სხეულზე ისევ გადამირბინა ელვამ. ვიგრძენი, რომ ქვედა ყბა მეწვოდა, შადრევანივით იფეთქა სისხლმა, და თოვლი შავად შეიღება. ამხანაგის გვამს მივეყრდენი. ცალი ხელით მოვიგლიჯე უკვე გაშავებული ხალათი და კისერზე შემოვიხვიე, რომ სისხლის დენა შემეჩერებინა. როგორც სიზმარში, ჩემ თვალწინ გაირბინა ყოველივე საუკეთესომ, რაც კი ცხოვრებაში განმიცდია, თვალწინ წარმომიდგნენ მეგობრები, მოსკოვი...

— დაიჭერი? ეხლავე გაგიყვან, ჭრილობას შეგიხვევ, — ჩაჩურჩულა ნაცნობმა ხმამ და გვამი, რომელსაც მე მსურდა ამოვფარებოდი, შეინძრა.

„ეს სიზმარია, სიზმარში ვარ", — გამიელვა აზრმა.

— საჭირო არ არის, მე თვითონ მოუვლი თავს, შენ დარჩი ჩემს მაგიერ, — ძლივს წავილაპარაკე და გავიწიე, მაგრა მივიკარ მკერდზე ჩემი ავტომატი.

ვიღაცამ თამამად დასდვა პატარა მარხილზე ორი დაჭრილი და დიდი სისწრაფით ცეცხლის ხაზიდან გაათრია.

— ყოჩაღ! — ვსთქვი გუნებაში. — რა შეუპოვარია! — ფიგურაზე შევატყე, რომ მარხილს კოპშტეინი მიათრევდა. — არონ, არონ, ხომ დაბრუნდები, მეც მიშველე! — უძახდა მას მეორე დაჭრილი.

მე სულ ფორთხვით მივიწევდი თოვლზე... ბრძოლა ცხრებოდა. ჩვენი არტილერია და ტყვიამფრქვევები ერთგულად და ენერგიულად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. თეთრფინელები უფრო და უფრო იშვიათად ისროდნენ. ეტყობოდათ, არაქათი გამოელიათ, სისხლისაგან დაიცალნენ. მახსოვს, როგორ მივაღწიე მიჯნას, მახსოვს ყუმბარისაგან გახლეჩილი ფიჭვი, რომელთანაც ძირს დავეცი და ცნობა დავკარგე.

...გამეღვიძა მესამე დღეს, თბილ ნათელ ოთახში. ავახილე მარჯვენა თვალი და დავინახე უცნობი ადამიანები. ჩემს საწოლთან იჯდა ორი სამხედრო ექიმი, მომვლელი ქალი და სანიტარი. ისინი ბჭობდნენ, მოახერხებდი თუ არა თვალებს გახელას. როცა თვალი გავახილე, მომვლელმა ქალმა შემომხედა და ალერსიანად გაიღიმა. მე მთლიანად ბინტში ვიყავ გახვეული, მხოლოდ ცალი თვალი იყო თავისუფლად დატოვებული. არ შემეძლო არც ლაპარაკი, არც განძრევა, მაგრამ ვიწყებდი იმის გაგებას, რაც მოხდა.

პალატაში, სადაც მე ვიწევი, ბატალიონის კომისარი შემოვიდა, ჩემს საწოლზე ჩამოჯდა, საველე ჩანთიდან გაზეთი ამოიღო და მითხრა:

— მოგილოცავთ გამარჯვებას! თქვენს ესკადრონზე და მამაც მეთხილამურეებზე საფრონტო გაზეთში მთელი „სარდაფია" დაბეჭდილი. ყოჩაღ ბიჭებო!

გამარჯვებას მილოცავდნენ ექიმები, მეომრები, მომვლელი დები, სანიტარები, უამრავი მისალოცი წერილი და დეპეშა მოდიოდა. მათ შორის იყო ერთი მძიმე ბარათი, აცახცახებული ხელით დაწერილი. ბარათი როგორღაც გაუბედავად და მოკრძალებულად იწყებოდა:

„ვწერთ, ძვირფასო მეგობარო, თუმცა არ ვიცით ცოცხალი ხართ თუ არა. ჩვენ შენ დაგმარხეთ სხვა ამხანაგებთან ერთად, საარტილერიო სალიუტით ჩაგასვენეთ საძმო სამარეში. მაგრამ დივიზიის შტაბში გვითხრეს, რომ ეს შეცდომა იყო, რომ შენ ცოცხალი ხარ, რომ თვითმფრინავით მიგიყვანეს ჰოსპიტალში. მოხერხებულად გაკეთებულმა ოპერაციამ და სისხლის გადასხმამ იხსნა შენი სიცოცხლე. გილოცავთ გამარჯვებას. იმ კუნძულზე, სადაც თქვენ იბრძოდით, თეთრფინელებმა ორასორმოცდაათზე მეტი მკვდარი დასტოვეს. ტროფეიც აურაცხელი დაგვრჩა. ნუ აღელდებით, ჩვენთვისაც მეტად მძიმე გადასატანია და სათქმელად კიდევ უფრო მძიმეა შეგატყობინოთ, რომ ჩვენი საყვარელი ძვირფასი არონ კოპშტეინი დაიღუპა გმირული სიკვდილით. შენ თვითონ მოწმე ხარ იმისა თუ როგორ მამაცურად და ვაჟკაცურად მოქმედებდა იგი ყოველ შეტაკებაში... როცა გათენდა, უკვე დაჭრილ არონს ტყვიის ცეცხლიდან გამოჰყავდა მძიმედ დაჭრილი უმცროსი მეთაური ლესიკი. არონი რამდენჯერმე დასჭრეს, მაგრამ მეთაური მაინც გადაარჩინა. უკანასკნელ წუთში, როცა არონმა ლესიკი უხიფათო ადგილს მიიყვანა, სნაიპერის ტყვია მოხვდა პირდაპირ შუბლში და სასიკვდილოდ განიგმირა, — მაშინვე გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი მომღერალი, ჩვენი გმირი რედაქტორი. ანგარიში მუხანათ მტერთან გასწორებულია. ჩვენ ფიცი დავდეთ არონის ძვირფას საფლავთან, რომ მანერჰეიმი თავისი ბანდიტური ხროვით განადგურებული იქნება. დაპირება შევასრულეთ".

ვიწექ საწოლზე მიჯაჭვული და ჩემ თვალწინ იდგა შავთვალწარბა, ჩაბსკვნილი, მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი არონი. ჩემს გონებას ერთ წუთსაც არ მოშორებია მისი სახე. მუდამ ვიგონებ და არასოდეს არ დამავიწყდება იგი, ჩვენი არონი, ნამდვილი ადამიანი და ჭეშმარიტი პოეტი, სიახლის გრძნობით სიცოცხლის მოყვარული და მხიარული გულით დაჯილდოვებული. საბჭოთა ხალხი არონ კოპშტეინის სახელს თავის დაუვიწყარ გმირთა სიაში შეიტანს.

---

[1] ეს ნაწარმოები პოლიტხელის ამხ. ჯატიევის „საფრონტო უბის წიგნაკიდან" აღვიწერს ქართველი პოეტების მთარგმნელის და მეგობრის, სამშობლოს ღირსეული შვილის პოეტ არონ კოპშტეინის სიმამაცეს და გმირულ დაღუპვას თეთრფინელებთან ბრძოლაში.

ჩვენ გავიმარჯვებთ

შალვა აფხაიძე

ბნელეთის მოციქულები გაუგონარი მუხანათობით დაესხნენ თავს სოციალიზმის, ბედნიერი ცხოვრების ქვეყანას. გაბედეს და თავს დაესხნენ ჩვენს დიად სამშობლოს ცოფიანი ძაღლები — გერმანელი ფაშისტები, ისინი, ვისაც დიდ შარაგზაზე ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა თავიანთ ხელობად გაუხდიათ.

გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც ჩაჰკლეს და გაანადგურეს ყველაფერი, რასაც კი პროგრესის, მოწინავეობის ხასიათი ჰქონდა, გააძევეს გერმანიიდან საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და ინკვიზიციის ცეცხლი დაანთეს, — აი ეს პირსისხლიანი ბარბაროსები დაესხნენ თავს ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა საბჭოთა კავშირის ორას-მილიონიანი ხალხი თავის ქვეყნის, მრავალი ბრძოლით მოპოვებული თავისი ბედნიერი, საამური ცხოვრების დასაცავად.

დაწყებული ომი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისაა. იგი გადაიქცევა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელ ომად და ყაჩაღთა ბუნაგის სრული განადგურებით დასრულდება.

წითელი არმია, ფლოტი, სტალინური შევარდნები, მრავალ ომში გამობრძმედილნი, თავის ისტორიულ მისიას— ხალხთა განთავისუფლების საქმეს — ბრწყინვალედ შეასრულებენ.

ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენს დროშას აწერია თავისუფლება, დამოუკიდებლობა, პროგრესი, კულტურა, ცივილიზაცია, ხოლო ფაშისტებისას— ინკვიზიცია, ბნელეთი, განადგურება, ბარბაროსობა.

ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენს ბრძოლას ხელმძღვანელობს დიდი სტალინი—ორგანიზატორი მრავალ გამარჯვებისა.

ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ ვიბრძვით სიმართლისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის.

ამ ბრძოლაში ქართველი მწერლობა მოწინავე პოზიციაზე იქნება: კალმით, ტყვიით, სიტყვით იგი ხელს შეუწყობს მომავალ გამარჯვებას.

ვერაგი მტერი განადგურებული იქნება

კ. ჭიჭინაძე

გაუფრთხილებლად, მუხანათურად დაესხა თავს ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს, რომელიც მუდამ მტკიცედ ანხორციელებდა მშვიდობიანობის პოლიტიკას. გათავხედებული მტრის ლაშქარს პირისპირ შეხვდა გულდასმით გაწვრთნილი, შეიარაღებული უმაღლესი ტექნიკით და აღზრდილი უდიდეს საკაცობრიო იდეებზე—უძლეველი წითელი არმია. გაველურებული ფაშისტები იგრძნობენ საბჭოთა ხალხის გოლიათურ ძალას. ამ ძალის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმის შედეგი უმძიმესი და საბედისწერო იქნება მისთვის, ვინც პირველმა აიღო მახვილი ხელში — ფაშისტური გერმანიისათვის, რომელიც საზარელ მაჯლაჯუნასავით მოევლინა თანამედროვე კულტურულ კაცობრიობას.

ვერაგი ფაშისტური ხროვა განადგურებული იქნება!

წითელი არმია მეხივით დაატყდება თავს პროგრესის დაუძინებელ მტრებს

დემნა შენგელაია

ჩვენი ქვეყანა მუდამ მედგარი დამცველი იყო მშვიდობიანობის, პროგრესისა და შემოქმედებითი აღმშენებლობისა, მუდამ პატივს სცემდა სხვა ერთა ხელშეუხებლობას, მათ უფლებასა და ღირსებას. ჩვენმა მტრებმა — გერმანელმა ფაშისტებმა კი გაუგონარი მუხანათობა და ველურობა ჩაიდინეს. პირსისხლიანი ფაშიზმი ვერაგულად დაგვესხა თავს და ჩვენი წმინდა საზღვრები შელახა.

ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, ჩვენი ავიაცია და ფლოტი მეხივით დაატყდება თავს ამ ტირანებს, პროგრესის ამ დაუძინებელ მტრებს, გააცამტვერებს ისე, რომ მათი ხსენება დარჩება საზიზღარი კოშმარივით მოსაგონებელი.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

საკადრის პასუხს გავცემთ ბარბაროსებს!

სიმონ წვერავა

სიტყვას არ ძალუძს გამოხატოს ის მოზღვავებული გულისწყრომა, რომელმაც მოიცვა საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლიანი ფაშიზმის ყაჩაღური თავდასხმის გამო. ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინად, როცა ახლად შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო შედარებით სუსტი იყო ეკონომიური და სამხედრო საშუალებებით, შესძლო მან თოთხმეტი იმპერიალისტური ქვეყნის გაერთიანებული თავდასხმის დამარცხება.

დღეს ჩვენი გმირული წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და საბჭოთა შევარდნები, დიდი **სტალინის** შთაგონებით აღფრთოვანებულნი, ვაჟკაცურად გაუმკლავდებიან და დაამარცხებენ კაცობრიობის ცივილიზაციის მოძულე მტრებს და საშუალო საუკუნეების დროის ბარბაროსებს.

შენ გაიმარჯვებ

სოლომონ თავაძე

დედამ შეხედა პირმშოს თვალებში,
ხმაში ათრთოლდა მგზნებარე კილო,
და გულმღელვარემ უთხრა ალერსით:
— გამარჯვებული მენახო, შვილო!

მეუღლეს, თითქო ტყეს არღვევს ულრანს,
გზა მეომრისა იწვევს სულ ზემოდ,
მოეხვია და უსიტყვოდ უთხრა:
— მეც შენთან ერთად მიგულე, ჩემო!

ბავშვმა ღიმილით მიაპყრო მზერა,
ვით წინაპრების ნანატრმა დილამ;
— შენ გაიმარჯვებ, მამილო, მჯერა,
ჩვენი დროშები ცამდის აწვდილა!

სატრფომ დაჰხარა წამწამი კდემით
და ჟრუოლვით გაჰყვა გრძნობის მდინარეს:
— მიდიხარ... იყავ კვლავ გმირი ჩემი,
მზე, ყოველ დილით სხივთა მფინარე!

კავკასიონმა თვისი ჭალარა
შეარხია, ვით ციმციმი დროშის,
და ააღერა ძველი ნაღარა:
— ნახვამდის! გელი დიდებით მოსილს!

სამშობლოსადმი

მარიკა მიქელაძე

გამკლავებიხარ რამდენ ქარიშხალს
წვრილშვილიანი, მდგარი კლდესავით,
კვლავ შეხვედრიხარ მზეს და გარიჟრაჟს
სიხარულის და აზრის მთესავი

ვინ მოიფიქრებს შეახოს ხელი
შენს მზეს, გაფანტულს ხალას განცდებად,
დღეს, როცა სრულად გამართე წელი,
მოესწარ შვილთა დავაჟკაცებას!

მაგრამ მოუნდათ, შენი კლდე-გული
გახრან, გასტეხონ, მტერი ხარბია!
სახელდებული და დიდებული
დავიწყებიათ შენი არმია!

დავიწყებიათ, ცეცხლში, ალვაში
ვით მოიშუშე ძველი ჭრილობა,
დავიწყებიათ შენი ქალვაჟის
ვაჟკაცობა და მხარგაშლილობა,

ჩვენ მოვაგონებთ, არაფერია,
დაე, მოვიდეს მტერი გაღმელი,
ჩვენ მოვაგონებთ, როგორ მღერიან
ჩვენი ტანკები, ჩვენი ნაღმები!

ჩვენ მოვაგონებთ, სამშობლოს ბჭესთან
მტერს ვით ვჩეხავდით მოსულს მტაცებლად,
როგორ ვიცავდით მშობლიურ მზეს და
საყვარელ მიწის დავაჟკაცებას!

მათ დავიწყნიათ!.. ჩვენ გვახსოვს ისევ,
თუ ხალხს, ფაშისტურ ქუსლით გასრესილს,
როგორ წაართვეს, ცეცხლს როგორ მისცეს
გენიოსების დიდი აზრები!

მოაბიჯებენ აზრის ქოსები,
უკან სტოვებენ ცრემლის აუზებს,
ამხედრებულან ბარბაროსები
და ხალხი მიჰყავთ სასაკლაოზე.

დაე მოვიდეს, არაფერია,
აღვირახსნილი მტერი გაღმელი,
გაიგონებენ, როგორ მღერიან
ჩვენი ტანკები, ჩვენი ნაღმები!

გადაგვილახავს ბევრი სიძნელე,
კვლავ შევხვედრივართ მზეს და განთიადს!
ჩვენს მზეს ვერავინ ვერ დაგვიბნელებს,
სანამ ბელადის სიბრძნე ანთია!

მთარგმნელთა სემინარი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან მუშაობა დაიწყო მთარგმნელთა სემინარმა, რომლის მუშაობაც ივნისის ბოლო რიცხვებამდე გასტანს. ჯერჯერობით სემინარზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: ი. გრიშაშვილის „შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმანები ქართულ ენაზე", ვ. წულუკიძის „პოეტური თარგმანის პრინციპები და ლერმონტოვის თხზულებათა თარგმანები ქართულად".

სემინარზე მოსმენილი იქნება 12 სხვა მოხსენება.

ჩვენ გვინდა გამარჯვება და ჩვენ მივაღწევთ მას!

სერგო კლდიაშვილი

ჩვენ მშვიდობიან მშენებლობაში ვიყავით ჩაბმული, ჩვენი ხელისუფლება მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა. ჩვენ არ გვინდოდა ომი, მაგრამ გვაიძულეს იარაღი აგვეღო ხელში.

23 წლის წინად ჩვენი მშრომელნი თითქმის შიშველი ხელებით ებრძოდნენ თეთრი გენერლების ჯარებს და უცხოეთის ოკუპანტებს. ჩვენს მტერს იარაღიც ჰქონდა და დიდი ძალაც, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. ბრწყინვალე მომავლისათვის მებრძოლ მშრომელთ არავითარი გასაჭირი არ აშინებდათ, ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ.

დღეს ჩვენ იმდენად ძლიერნი ვართ, რომ არავითარი მტრის შიში არა გვაქვს. გმირული სულით გაჟღენთილი ჩვენი წითელი არმია, ჩვენი ავიაცია, ჩვენი ფლოტი მრისხანე პასუხს გასცემს პირსისხლიანი ფაშიზმის გიჟურ გამოსვლას. ჩვენ დავიცავთ საყვარელ სამშობლოს, ჩვენ დავიცავთ იმას, რაც ბრძოლით მოგვიპოვებია და ჰიტლერის ქუსლით გათელილ ევროპის ხალხებსაც თავისუფალი ცხოვრების საშუალებას მივცემთ.

გაუმარჯოს ჩვენს გმირულ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

სიკვდილი სისხლიან ფაშიზმს!

იაკინთე ლისაშვილი

გაცოფებულმა ფაშიზმის ძაღლებმა მუხანათურად მოაშურეს ჩვენი დედასამშობლოს საზღვრებს.

გაუგონარია ეს სიველურე! რამდენი პატარა ერი გასრისა გერმანიის პირსისხლიანმა ფაშიზმმა, რამდენი უდანაშაულო ბავშვისა და დედის სისხლი დაღვარა მან და ამ სისხლმა კიდევ უფრო გააშმაგა მხეცი, კიდევ უფრო დაჰკარგა მან ადამიანობის ყოველგვარი ნიშანი და ამ თავისი მხეცობით კიდევაც ამაყობს, კაცობრიობის ცივილიზაციას სრული განადგურებით ემუქრება.

ვით ერთი კაცი, დარაზმული საბჭოთა ხალხი მტერს გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს.

სიკვდილი სისხლიან ფაშიზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს მშობლიურ **სტალინს!**

წინ კომუნიზმის დიადი დროშით!

გამანადგურებელი ლახვარი პირსისხლიან ფაშიზმს!

საქართველოს მწერალთა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი

ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწა-წყალზე მტრის მუხანათური თავდასხმის ცნობამ მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად აღაშფოთა ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია, ჩვენი საბჭოთა მწერლები. სახელდახელო მიტინგი მწერალთა სასახლეში გახსნა სანდრო ეულმა.

— გონებადაკარგულმა გერმანელმა ფაშისტებმა — სთქვა **ს. ეულმა**, — კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი მზაკვრული აქტი ჩაიდინეს. ჩვენი ქვეყნის მხრით რაიმე საბაბის მიუცემლად, ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს და ქურდულად ყუმბარები დაუშინეს მძინარე მშვიდობიან მოსახლეობას. ამ ამბის გაგებისთანავე მთელი საბჭოთა ხალხი ელვისებური სისწრაფით დაირაზმა. დადგა დრო, როცა მიწის პირისაგან აღგვილი უნდა იქნას მთელი კულტურული კაცობრიობის დაუძინებელი, მოსისხლე მტერი — ფაშიზმი.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვა წაიკითხა ალ. გომიაშვილმა. როცა აუდიტორიამ მოისმინა ამ სიტყვის უკანასკნელი წინადადება: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება", — დამსწრენი ფეხზე წამოდგნენ და მქუხარე ხანგრძლივი ტაშით გამოსთქვეს თავიანთი ურყევი რწმენა ამ გადაწყვეტილების სიმტკიცეში.

შესაფერი სიტყვა ვერ გამომინახავს, — სთქვა **შალვა დადიანმა**, — საკადრისად დავახასიათო გამხეცებული, მხდალი და სულმდაბალი ჰიტლერის და მისი ხროვის მუხანათური საქციელი. ჰიტლერმა და მისმა დამქაშებმა სასიკვდილოდ გასწირეს გერმანიის ხალხი. ამასაც არ დასჯერდნენ, — ცეცხლის ალში გახვიეს მთელი ევროპა და ბოლოს იმდენად დაჰკარგეს გონება, რომ მახვილი ჩვენი უძლიერესი ქვეყნის წინააღმდეგ ამართეს. მაგრამ სწორედ აქ, ჩვენს საზღვრებზე ჰპოვებენ ისინი თავიანთ სამარეს. ჩვენი უძლეველი წითელი არმია იქნება ფაშიზმის მესაფლავე. იგი რისხვად დაატყდება გათავხედებულ ფაშისტთა ხროვას. განუზომელია დღეს საბჭოთა მწერლის მოვალეობა. მთელი ჩვენი არსებით, მთელი თავგანწირულობით უნდა ვაკეთოთ ყველაფერი ის, რასაც სამშობლო დაგვაკისრებს. უდიდესი სიფხიზლე და სიზუსტე მართებს ყოველ ჩვენგანს. დღეს უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ჩვენი სიტყვა უნდა რაზმავდეს მასებს თავდადებული შრომისა და ბრძოლისათვის.

ერების თავისუფლების ჯალათმა ჰიტლერმა, — განაცხადა სტალინური პრემიის ლაურეატმა **გიორგი ლეონიძემ** მრავალი ხალხი შემუსრა და დაიმონა, მაგრამ უკვე დადგა დრო, რომ თავად შეიმუსროს იმ სიმაგრესთან დაჯახებისას, რომელსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ აღორძინებული ერები არავის დაუთმობენ თავიანთ თავისუფლებას, თავიანთ სოციალისტურ მონაპოვარს, თავიანთ სახელსა და დიდებას. ისინი დაამტკიცებენ კაცობრიობის წინაშე თავიანთ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, **სტალინისადმი**. მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი მწერლობა უმჭიდროესად დაირაზმება ბოლშევიკური პარტიის გარშემო და თავგანწირულად იბრძოლებს სამშობლოს ხელშეუხებლობისათვის.

ფაშისტური გერმანიის სახით, — სთქვა **კონსტანტინე გამსახურდიამ**, — სიმართლისა და მოწინავე კულტურის ქვეყანას, საბჭოთა კავშირს ბნელეთის სამყარო დაეჯახა. ჩვენმა დიადმა სამშობლომ უნდა იხსნას მთელი კაცობრიობა დაღუპვისაგან, რომელსაც უქადის მას ჰიტლერის გერმანია. ფაშიზმი გაგრძელებაა იმ ბარბაროსობისა და კაცთმოძულეობისა, რომელსაც ქადაგებდნენ და ახორციელებდნენ პრუსიელი ჟანდარმები ბისმარკის მეთაურობით. თავისუფალი აზრის მდევნელი პრუსიული მონარქია ეზიზღებოდა და სძულდა დიდ გოეტეს. ის სისტემა, რომელიც ქვეყნიდან აძევებს თანამედროვე კულტურის უდიდეს შემოქმედ ძალებს, ისეთს მეცნიერებს, როგორიც არის აინშტაინი, განადგურებული და გაცამტვერებული იქნება. ფაშიზმი სასიკვდილო აგონიას განიცდის. მის არსებობას ბოლოს მოუღებს საბჭოთა ხალხების გაერთიანებული ძლევამოსილი იერიში. ქართველი ხალხი, რომელიც დიდ ისტორიულ ბრძოლებში მუდამ დიდი რუსი ხალხის ერთგული მოკავშირე იყო, მით უფრო ახლა გააასკეცებს ბრძოლის უნარს იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო გამარჯვებული გამოვიდეს, რომ **ლენინ-სტალინის** საქმემ საბოლოო გამარჯვება მოიპოვოს მთელს მსოფლიოში.

ჩვენი დიდი სამშობლო, — საბჭოთა ხალხების მთელი ოჯახი განაცხადა **ბ. ჟღენტმა**. — უდიდესი ისტორიული გამოცდის წინაშე დადგა: დაიწყო ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის. ფაშისტურ ბარბაროსებს გმირულად ებრძვის მამაცი და უძლეველი საბჭოთა ხალხი, მისი წითელი არმია, ფოლადისებური მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა შეუდრეკელი სტალინური მეგობრობა. აღვირახსნილი მტერი უძლურია მოდრიკოს ქვეყანა, რომელსაც ამოძრავებს თავისუფლების, ერთა ძმობისა და თანასწორობის დაცვის კეთილშობილი მისწრაფება, ფაშისტურ ქუსლს ქვეშ მგმინავ ხალხთა განთავისუფლების დიადი იდეა.

ისეთი უტიფრობა, — სთქვა **ხ. შანშიაშვილმა**, — როგორიც ჩაიდინა ჰიტლერის სისხლიანმა ხროვამ, არ ახსოვს ისტორიას. ფაშიზმი ის ნადირია, რომელიც არავის არ ინდობს. მან დალუპა თავისი ხალხი, მან ჯოჯოხეთში ჩააგდო მთელი ევროპა. ჩვენი ქვეყნისათვის იგი მუდამ საზიზღარი და საძულველი იყო. ახლა, როცა იგი იმდენად გაკადნიერდა, რომ ხელი აღმართა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხი მთელი სისასტიკით და დაუნდობლობით გაუსწორდება მოწინავე კაცობრიობის უბოროტეს ჯალათებს. დიდი ბელადის **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით და სარდლობით საბჭოთა ხალხი ბრწყინვალედ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

შალვა რადიანმა, რომელიც შეეხო საბჭოთა ხალხის დარაზმულობას სამშობლოს წმინდა მიწა-წყლის დასაცავად, ილაპარაკა საბჭოთა მწერლის დიდ ამოცანებზე დღევანდელი სამამულო ომის პირობებში. საბჭოთა მწერლის როლი და პასუხისმგებლობა ერთი ასად იზრდება. დღეს მისი სიტყვა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე უნდა რაზმავდეს და აყალიბებდეს საბჭოთა მოქალაქის პატრიოტულ შეგნებას, უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების წმინდა საქმეს. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი მამაცი წითელი არმია გადამწყვეტ ბრძოლას გაუმართავს მტერს მისსავე ტერიტორიაზე და ძირფესვიანად ამოაგდებს შავბნელი ფაშიზმის ბუდეებს.

ამ დიად სამამულო ომში საბჭოთა მწერლის მოვალეობაზე სიტყვას ამბობს **სიმ. წვერავა:** დღეს უნდა გამოჩნდეს საბჭოთა მწერლის სიტყვის იდეურ-პატრიოტული სიმახვილე. ეს სიტყვა უნდა ამხნევებდეს საბჭოთა მოქალაქეს, ბრძოლის ენტუზიაზმს ნერგავდეს ყოველი პატრიოტის გულში და სასიკვდილო ლახვრად ესობოდეს ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტერს.

— ორასმილიონიანი საბჭოთა ხალხი, — სთქვა **აკაკი გაწერელიამ**, — როგორც ერთი ჯარისკაცი აუღებელ ციხე-სიმაგრედ აღიმართა მუხანათი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ. იცავს რა თავის სამშობლოს ხელშეუხებლობას, დევგმირი საბჭოთა ხალხი გამოდის მთელი კაცობრიობის მხსნელად ფაშისტური ბარბაროსებისა და კაციჭამიობისაგან.

დემნა შენგელაიამ ილაპარაკა მთელი საბჭოთა ხალხის უმაგალითო დარაზმულობაზე. მან მოითხოვა, რომ მწერალთა ორგანიზაციამ ამ დიადი ისტორიული ვითარების შესაბამისად გარდაქმნას თავისი მუშაობა და მთელი თავისი შესაძლებლობა იქითკენ მიმართოს, რომ ყველა მწერალი, გამოუკლებლივ, მთელი ძალღონით, კალმითა და საბრძოლო იარაღით ემსახურებოდეს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს თავდაცვის წმინდა საქმეს.

ალ. გომიაშვილმა წაიკითხა ლექსი, სადაც გამოხატულია საბჭოთა პატრიოტის აღშფოთება და უძლეველი სიძულვილი ბნელეთის მოციქულის, სამგზის საზიზღარი ჰიტლერისადმი.

მიტინგი დამთავრდა **ირაკლი აბაშიძის** გამოსვლით.

— დადგა ფაშიზმის აღსასრულის და საბოლოო განადგურების ჟამი, — განაცხადა ირ. აბაშიძემ. — ისტორიამ ეს ამოცანა ჩვენს დიად საბჭოთა ხალხს დააკისრა. ჩვენი გმირი ხალხი დიდხანს ემზადებოდა იმისათვის, რომ ეს მოწოდება სასახელოდ და ბრწყინვალედ შეესრულებინა. გაუტეხელმა უდრეკმა საბჭოთა ხალხმა მრავალი დაბრკოლება, უთვალავი სიძნელე გადალახა, რომ გაცოფებულ მტერს ყოველმხრივ მომზადებული დახვედროდა, დახვედროდა ისეთ სიმაგრეს, რომელზედაც ტვინს მიასხამს ცოფიანი ქოფაკი — გერმანული ფაშიზმი. მტარვალს ჰიტლერს არასოდეს არ გაუთენდება ის დღე, რომ თავისი ბინძური ფაშისტური ჩექმა დაადგას იმ მიწას, საიდანაც აღგვილია ყველა ჯურის ექსპლოატატორთა ბატონობა და საიდანაც კაცობრიობას სხივებსა ჰფენს ხალხთა სტალინური მეგობრობის მზე.

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად

სამშობლოსათვის

გესო ჟღენტი

პატრიოტული გრძნობის უმაგალითო, ყოვლისდამძლევი მოზღვავებით უპასუხა დიადმა საბჭოთა ხალხმა გამხეცებული ფაშიზმის პირველსავე ვერაგულ თავდასხმას სამშობლოს წმინდათა-წმინდა მიწა-წყალზე.

სამშობლო უბრწყინვალესი და უდიდესი სიტყვაა ყოველი ხალხის ლექსიკონში. სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადებული ერთგულება, მამულის თავისუფლებისა, სახელისა და არსებობისათვის თავგანწირულება ადამიანის უმაღლესი და უწმინდესი გრძნობაა. გმირობისა და ვაჟკაცობის, ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა და სამართლიანობის მასაზრდოებელი ამ დიადი გრძნობით არის შთაგონებული და გაცხოველებული კაცობრიობის ისტორიის ყველა საამაყო და სასახელო ფურცელი. ამ გრძნობით არის აღბეჭდილი კაცობრიო კულტურის, ხელოვნებისა და პოეზიის ყოველი უკვდავი ძეგლი.

ქართულ ლიტერატურას თავისი პატრიოტული მგზნებარებით ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მთელს მსოფლიოში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის უთვალავ დამპყრობლების სისხლისმღვრელი თავდასხმის ცეცხლში გამობრძმედილმა ქართველი ხალხის გმირულმა სულმა, მისმა [illegible] და გაუტეხელმა პატრიოტულმა ნებისყოფამ ღრმა გამოხატულება ჰპოვა ქართულ მწერლობაში.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლები ქართული მხატვრული მწერლობისა ასახავენ და დიდების შარავანდედით მოსავენ ადამიანის თავგანწირულებას უცხოელ დამპყრობელთა და ძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შეუხრელად ეგებებოდნენ სიკვდილს ჩვენი უძველესი მწერლობის პერსონაჟები, რათა თავისი სიცოცხლის გაწირვით დაეცვათ მშრომელი ხალხის ღირსება, ან რწმენა, თავისუფლება

რუსთაველმა მარადიულად ჩაუქრობელი ჰიმნი უმღერა თავისუფლების მოყვარეობისა და პატრიოტიზმის უმაღლეს იდეას. მან შთაუნერგა ქართულ ლიტერატურას გმირული და ვაჟკაცური სული, მან გარდაუვალად დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში წყვდიადზე ნათელის გამარჯვების, ბოროტის დაძლევის ოპტიმისტური რწმენა.

მე-19 საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტებმა სახელოვნად განაგრძეს ეს ტრადიცია. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისუფლებააღდილი ერის მდგომარეობა დამჭკნარ სუმბულს ან გალიაში დატყვევებულ ბულბულს შეადარა, რომლის ხვედრიც, პოეტის რწმენით, სიკვდილზე მწარეა და აუტანელი.

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ აკვანში მწოლარე ყრმას ზრდიდა მამულისათვის სიცოცხლის განწირვის სულისკვეთებით:

„აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან ვით შვილი ერთგული
დააკვდი მამულს მსხვერპლად".

არაერთხელ გაიმეორებს თავისი სამშობლოს თავისუფლების დასაცავად ამხედრებული ჩვენი ხალხი ილიას მგზნებარე სიტყვებს:

„მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია".

აკაკი წერეთლის მთელი პოეტური შემოქმედება სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარულით, მამულის მტრებისადმი დაუცხრომელი, მომაკვდინებელი ზიზღით აღგზნებული საგალობელია. დაუღალავად წვრთნიდა პოეტი ქართველი ხალხის აზრსა და გრძნობას იმ შეგნებით, რომ

ცოცხალ მონაზე უმჯობესია
თავისუფლების ძიებაში მკვდარი,
იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი".

სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულება ასულდგმულებს ვაჟა-ფშაველას გმირულ პოეზიას. იგი მოუწოდებდა ქართველ ხალხს:

„არ ვაქელვინოთ სამშობლო
მეტოქეს ათასგვარასა".

ამ გმირულ პატრიოტულ ტრადიციებზეა აღზრდილი ქართული საბჭოთა პოეზია. თავისი დიდი წინაპრებისაგან განსხვავებით თანამედროვე პოეტები უმღერიან არა სამშობლოს განთავისუფლების საოცნებო იდეალს, არამედ ხორცშესხმულ, სინამდვილედ ქცეულ, ხალხის თავდადებული ბრძოლით მოპოვებულ და სამუდამოდ განმტკიცებულ მშობელი ქვეყნის ბედნიერებას.

საბჭოთა ქართულ პოეზიაში სამშობლოსადმი მიძღვნილი საგალობელი გაისმის აღფრთოვანებულ ჰიმნად, სადაც ნასახიც კი აღარ არის იმ ღრმა სევდისა და მწუხარებისა, რომლითაც აღბეჭდილი იყო კლასიკური ქართული პატრიოტული ლირიკა. სამშობლოს ცნებაში თანამედროვე პოეტური სიტყვა გამოხატავს და უმღერის ხალხის თავისუფლებისა და უძლეველობის სინამდვილეს, სტალინური დემოკრატიის ტრიუმფს, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ხორცშესხმულ იდეას, — ყველაფერს იმას, რაც უწმინდესი და საუკეთესო გააჩნია მრავალეროვანსა და მრავალმილიონიან საბჭოეთს.

ქართული საბჭოთა პოეზიის მრავალჭანგოვან პატრიოტულ საგალობელში ღრმად არის გამოთქმული საბჭოთა ხალხის მზადყოფნა თავისი მკერდით დაიცვას დედა-სამშობლოს ხელუხლებლობა, მისი დროშების ამაყი ელვარება:

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ".

ამ სიტყვებით მიმართავს მშობელ ქვეყანას გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც მრავალი შთაგონებული ლექსი უძღვნა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს უნარიანობას, ჩვენი გმირული წითელი არმიის უძლეველობას და ამასთანავე იშვიათი და მისაბაძი სიუხვით გააშუქა თავის პოეზიაში კაპიტალისტური გარემოცვის თემატიკა. მისი ლექსები შეუნელებლად აღვივებენ ხალხის შეგნებაში იმ აზრს, რომ „ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი". მან დაგვანახვა თავის პოეზიაში თანამედროვე ბარბაროსების—გერმანელი ფაშისტ-ინკვიზიტორების ნამდვილი სახე:

„ფრიდრიხშტრასეზე. ვიდოდა, ვნახე
მისი „ახალი" ადამიანი,
ბარბაროსული ჰქონდა მას სახე,
ენაც ველური და შხამიანი".
„გამომხატველი ავადმყოფ ჟინის
მიმოდის, როგორც გრიპი, ცხელება,
მწვანე სიმსივნე ახალ ბერლინის,
მიხაკისფერი საშინელება".

სამშობლოს მტრებისადმი ასეთი მომაკვდინებელი ზიზღით, ასეთი მკაცრი და დაუნდობელი სიმართლით მტრული სამყაროს მხილების ძალა აუცილებელი თვისებაა საბჭოთა პატრიოტიზმის სულით გამსჭვალული პოეტური შემოქმედებისა.

მშობელ ქვეყნისადმი ტრფიალების გრძნობა, დაკავშირებული მისი უძლეველობისა და შეურყევლობის აღმაფრთოვანებელ რწმენასთან, შეადგენს გიორგი ლეონიძის პოეზიის მასულდგმულებელ ძალას:

„სამშობლოს დროშის შრიალს შევხარი,
ლოდმაგარ ქვითკირს აღტაცებული...
მიყვარს სამშობლოს განთიადები,
მისი სიმაგრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეილერისები".

უაღრესი სიწრფელით ჟღერენ პოეტის სიტყვები, რომლებითაც იგი გვამცნობს, თუ რა არის მისი გულის ფეთქისა და პოეტური გზნების მასაზრდოებელი წყარო:

„გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო—ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი".

თავის არა ერთ ლირიკულ ლექსში, ხოლო განსაკუთრებულის ძალით ეპოპეა „სტალინის" პირველ ნაწილში გიორგი ლეონიძემ დიდი პოეტური სიცხადით გამოხატა ჩვენი ხალხის ბუნებაში, ჩვენს ცადაწვდილ მთებში და ვრცლად გადაშლილ ველებზე დასადგურებული გაუტეხელი გმირული სული და თავისუფლების მოყვარეობა.

კომუნიზმის ამაყი დროშები, რომლებიც თავს დანათიან ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ მიწა-წყალს, თანამედროვე პოეტის შთაგონების უპირველეს საგანს შეადგენენ. ამ დროშების დიდებისა და დაუხრელობისათვის ბრძოლაში პოეტური სიტყვა ისწრაფვის გაუტოლდეს ტყვიასა და მახვილს. მკაფიოდ გამოსთქვა ეს აზრი ი. გრიშაშვილმა:

„სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი,
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იკრებს...
გულო, მებრძოლებს გაუტოლადდი,
თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს".

სამშობლომ მისცა თანამედროვე პოეტს სიმღერის ძალა და შთაგონება. ქართველი პოეტის ლექსში წრფელად არის გამოთქმული სამშობლოსადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობა, დაკავშირებული მისდამი თავგანწირულ ერთგულებასთან. პოეტი შალვა აფხაიძე მიმართავს სამშობლოს:

„შენ აღმაფრინე, შემაყვარე ტრფობის ლადარი
და შენი მიწის მომტყდარ ბელტსაც შევეწირები,
მხარს გიმშვენებენ, დაგხარიან გმირთა-გმირები,
შენი სიმღერა მიხმობს ტკბილი, შეუსადარი".

განათლებული და აღორძინებული სამშობლოს ფერადოვან პოეტურ სურათებში ალიო მაშაშვილმა განასახიერა ქართული ბუნების სიდიადეც და ხალხის ნათელი, მზიური ცხოვრების სინამდვილეც. მისი „სამშობლო ბელადისა" და „ჰიმნი სამშობლოს" მგზნებარე პატრიოტული გრძნობით აღბეჭდილი მებრძოლი პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშების წყებას უნდა მიეკუთვნონ. საბჭოთა ხალხის ურყევმა რწმენამ თავისი დიადი სამშობლოს ძლევამოსილებისადმი ღრმად დამაჯერებელი გამოხატულება ჰპოვა ალიო მაშაშვილის ლექსში:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც ჰშობა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჭკნება მთების მშვენება,
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება — ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?-"

ეს სიტყვები გადავიდა ხალხში და გადაიქცა სიმღერად, რადგან მათში უაღრესად აქტუალური ხალხური აზრი და გრძნობაა განსახიერებული.

ხალხთა დიად სტალინურ ოჯახში აღორძინებული ქართველი ხალხის პოეტური სიტყვა სამშობლოს ცნებაში გულისხმობს არამარტო საქართველოს მიწა-წყალს, არამედ მთელს თვალუწვდენ საბჭოეთს — მშრომელი კაცობრიობის თავისუფლებისა და სიმართლის პირველ სამშობლოს. სამშობლოს ეს ახალი გაგება მთელს საბჭოთა პოეზიაში სიმონ ჩიქოვანმა ერთმა პირველთაგანმა განასახიერა თავისი ლექსით „კავკასიიდან ტაგანროგამდე", რომელშიაც რევოლუციურ რუსეთს სამშობლოთა სამშობლო უწოდა. ჩვენი ქვეყანა სიმართლისა და თავისუფლების სიმბოლოა მთელს მსოფლიოში. ერთად-ერთი და უმაღლესი სიმართლე კაცობრიობისა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია ხორცშესხმული:

„ქართლის ცხოვრების ბრძენი მინათებს,
მუზაც დარეკავს კალმიან ზარით,
რადგან ერთია ქვეყნად სიმართლე
და ეს სიმართლე სამშობლო არი",—

ამბობს სიმონ ჩიქოვანი და გვინერგავს რწმენას, რომ ამ ერთად-ერთი სიმართლის დუღაბით ნაშენს ჩვენი სამშობლოს ციხე-სიმაგრეს ვერაფერი შეარყევს.

საბჭოთა პოეტის პატრიოტული აღფრთოვანება განუყოფელია სამშობლოსათვის თავდადების მებრძოლ განწყობილებისაგან. ამ განწყობილების გამოხატვისას თანამედროვე პოეზიაში ცოცხლდებიან ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ეპიზოდები, რომლებიც ეხმაურებიან ჩვენს საბრძოლო პატრიოტულ მისწრაფებებს. ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქისადმი მიმართულ ლექსში ირაკლი აბაშიძე ამბობს:

„მზი, შინობა და მიწა მარადი
შენი მე მიყვარს, შენს მოქალაქეს,
არა ვით მტკვარს და აპრილს, არამედ
როგორც უყვარდა სამას არაგველს.
მათ თავის ქალაქთან თავი გასწირეს,
არ გაპარულან მტკვარში მხარულით,
მარად შევნატრი მათს სიყმაწვილეს,
მე მესმის მხოლოდ ეს სიყვარული".

სამშობლოსადმი სიყვარული და მისი სახელისა და ღირსებისათვის თავ-

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მხატვართა მიტინგი

23 ივნისს, დღის 3 საათზე, საქართველოს მხატვართა კლუბში შესდგა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის წევრთა მიტინგი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფაშისტური გერმანიის ბარბაროსული თავდასხმისა და საბჭოთა კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენტებისადმი საბჭოთა მთავრობის მიმართვის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა მხატვართა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მირზოევი.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით და ფაშისტური გერმანიის მმართველებისადმი უდიდესი სიძულვილით გამსჭვალული სიტყვებით გამოვიდნენ: სახალხო მოქანდაკე, ორდენოსანი **იაკობ ნიკოლაძე**, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **მოსე თოიძე**, ორდენოსანი **ი. ვეფხვაძე**, ორდენოსანი **ლადო გუდიაშვილი**, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, მოქანდაკე **რ. თავაძე, ლორის-მელიქოვი და რომანიშვილი.**

ორატორებმა უდიდესი აღშფოთება გამოსთქვეს გერმანიის ფაშისტური მმართველების გაუგონარი და საზიზღარი საქციელის გამო. თითქმის მთელი ევროპის ხალხების დამონების შემდეგ ცოფიანი ფაშისტები შეეცადნენ საბჭოთა კავშირის საზღვრების და მისი წმინდათა-წმინდა მიწის გადმოლახვას. მათ სურთ მოსპონ მშვიდობიანობა და მძიმე უღელი დაადგან თავისუფალ და ბედნიერ საბჭოთა ხალხს, მაგრამ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი **სტალინის** გარშემო შემჭიდროებული, როგორც ერთი კაცი, დაიცავენ თავიანთ მონაპოვარს. მტერი განადგურებული იქნება, — ასეთია ორასმილიონიანი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ჩვენ გავაათკეცებთ შემოქმედებითს მუშაობას თავდაცვითს და სამხედრო თემატიკაზე ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ამბობდნენ გამოსული ორატორები.

იქვე, მიტინგზე, მოეწყო სამხედრო-თავდაცვითს თემატიკაზე მუშაობის მსურველთა ჩაწერა. ამ ხაზით მუშაობის სურვილი გამოსთქვეს: **ლადო გუდიაშვილმა, ელენე ახვლედიანმა, ი. ვეფხვაძემ, თამარ აბაკელიამ, რ. ლორის-მელიქოვმა, ს. მაისაშვილმა, ს. ნადარეიშვილმა, ვ. გრიგოლიამ, ს. ქობულაძემ, კ. გრძელიშვილმა, ხუციშვილმა და სხვებმა.**

კომპოზიტორების ახალი საბრძოლო რეპერტუარი

24 ივნისს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ხელოვნების სამმართველოს, საქართველოს ესტრადისა და წითელი არმიის წარმომადგენლები, თეატრის დირექტორები, კულტმუშაკები, ხელოვნების ოსტატები და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრები.

თათბირის მიზანი იყო — განეხილა თანამედროვეობის საპასუხო მუსიკალურ-ვოკალური რეპერტუარის შექმნის საკითხები.

თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად ყველა კომპოზიტორისა და მწერლის საპატიო მოვალეობაა — შექმნას მუსიკალური ნაწარმოებები თავდაცვის, ჰეროიკის, სამშობლოს სიყვარულის, საბრძოლო ხასიათის და ანტიფაშისტურ თემებზე.

საბჭოთა კომპოზიტორებმა იკისრეს ვალდებულება დასწერონ მუსიკა საქართველოს პოეტების მიერ შექმნილ ახალ საბრძოლო ლექსებზე.

სტალინური პრემიის ლაურეატი ორდენოსანი კომპოზიტორი გრ. კილაძე დასწერს მუსიკას საბჭოთა პოეტების გიორგი ლეონიძისა და ალიო მაშაშვილის ტექსტებზე. ორდენოსანი კომპოზიტორი ი. ტუსკია — ი. მოსაშვილის ტექსტზე, ი. გოკიელი — გალაკტიონ ტაბიძის ტექსტზე, ბალანჩივაძე — პატარაიასა და სერებრიაკოვის (რუსულად) ტექსტებზე, შ. მშველიძე — გ. ლეონიძისა და ა. მაშაშვილის ტექსტებზე. კომპოზიტორი შ. აზმაიფარაშვილი დასწერს მარშს სასულე ორკესტრისათვის, კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი — ლაშქრულს (ხალხურ ტექსტისა და მუსიკის მიხედვით).

გარდა ამისა, ახალი საბრძოლო ხასიათის მუსიკალურ ნაწარმოებებს დასწერენ კომპოზიტორები თაქთაქიშვილი, გაბიჩვაძე, ცაგარეიშვილი, კ. მეღვინეთ-უხუცესი, გრ. ჩხიკვაძე, ა. კერესელიძე და სხვანი.

მსახიობთა ბრიგადები წითელი არმიის ნაწილებისათვის

მსახიობთა ძალებით წითელი არმიის ნაწილების მომსახურების გასაუმჯობესებლად საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში 24 ივნისს გაიმართა ხელოვნების სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა ხელოვნების ოსტატთა და წითელი არმიის სახლის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი.

თათბირმა გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რათა წითელი არმიის ნაწილების უკეთ მომსახურებისათვის ჩამოყალიბებულ იქნას მსახიობთა რამდენიმე ათეული ბრიგადა, რომლებშიაც შევლენ თბილისის თეატრებისა და ესტრადის მსახიობები. თვითეულ ბრიგადაში შეყვანილი იქნებიან თეატრისა და ესტრადის ყველა ჟანრის წარმომადგენელნი.

მსახიობთა რამდენიმე ათეული ბრიგადა ჩამოყალიბდება თბილისის სხვადასხვა პუნქტში. ისინი მომსახურებას გაუწევენ ჯარის ნაწილებს.

ბრიგადები შედგენილია ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მომსახურების გასაწევად.

სპეციალურ ბრიგადებს შეადგენენ სახელმწიფო ოპერის თეატრისა და რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები.

ბრიგადებში შეყვანილი იქნებიან სახელმწიფო კონსერვატორიისა და მუსიკალური ტექნიკუმების უფროსი კურსის სტუდენტებიც.

სამშობლოსათვის

(დასასრული)

განწირულება, — ასეთია მებრძოლი საბჭოთა პატრიოტიზმის შინაარსი.

მშობელი ქვეყნისათვის ყოველგვარი მსხვერპლის გაღების ეს იდეა საბჭოთა პოეზიაში განათებულია ხალისიანი, ოპტიმისტური განცდით. ჯერ კიდევ თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში კარლო კალაძემ უმღერა საბჭოთა ხალხის გაუტეხელ ნებისყოფას და თავისი უძლეველობის რწმენას:

„მტერმა დაშნით ვერ ამოჭრას
გმირთა გულების კრებული,
მთების ხასიათს შვილივით
შეზრდილი-შეთორცებული!—
და ჩვენს დაჩხილს გვამებზე
ქუსლით ვერ გადაიაროს,—
სანამ სდგას კავკასიონი,
არაგვი არაგვიანობს“.

საბჭოთა პოეზია უმღერის ჩვენი სამშობლოს ბუნების სიდიადეს, სიუხვეს, დოვლათიანობას, ჩვენს მიწა-წყალზე გაჩაღებულ მზიურ ცხოვრებას და ყოველთვის გვაგრძნობინებს, რომ ეს ნათელი კომუნიზმის დიადი იდეებისაგან მომდინარეობს. ხუთქიმიანი ვარსკვლავის შუქი ასხივოსნებს ჩვენი ქვეყნის სივრცეებს:

„ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი,
უხვი არის და ბარაქიანი,—
თავს დაჰქათქათებს ამ ქვეყნის მიწას
ჩვენი ვარსკვლავი ხუთ-ქიმიანი“, —

სწერს პოეტი სანდრო ეული.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა ქართულ საბჭოთა პოეზიაში განაყოფიერებულია დიდი სტალინისადმი ერთგულების, მადლიერებისა და მშობლიური სიყვარულის გრძნობით. პოეტები უმღერიან ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მიწა-წყალზე დაბადებულ უდიდეს გენიოსს ახალი კაცობრიობისას, როგორც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის უძლეველობის მარადიულ და დიად სამშობლოს:

„შენი მინდვრების ელავს ხავირდი,
მას ციდან ოქროს სხივები აწვიმს,
ლურჯმა ჰაერმა გადუხსნა მკერდი
შენი გულიდან აფრენილ არწივს.
ის შენს ცა-ფირუზს უვლის გარშემო,
როგორც მნათობი გაუქრობელი,
მან ააყვავა, სამშობლო ჩემო,
შენი ქალაქი, შენი სოფელი“.

დედა-სამშობლოსადმი მიმართული ამ შთაგონებულ სიტყვებში პოეტმა ალ. აბაშელმა საბჭოთა ხალხის საყოველთაო აზრი და გრძნობა გამოხატა. სტალინი არის ჩვენი დიადი სამშობლოს, ჩვენი უძლეველი საბჭოთა ხალხის საბრძოლო დროშა. მის გარშემო შემჭიდროებული, მისი სიბრძნის ნათელით მოცული ჩვენი ქვეყანა გადალახავს და დათრგუნავს ყოველ წინააღმდეგობას, ყოველი ჯურის მტერს.

მოწოდების ზარივით გაისმის პოეტ ილო მოსაშვილის მგზნებარე სტრიქონები:

„შემოვერტყათ მის დროშას, როგორც
რკინის კედელი:
კოლმეურნე, მფრინავი, პოეტი და
მჭედელი,
მთელი ჩვენი ქვეყანა ალიმართოს
სალივით,

გვინათებდეს მზესავით
სიხარულის მთესავი,
ჩვენი მამა,
სიამაყე,
ჩვენი დიდი **სტალინი**“.

უეჭველია, რომ გაცოფებულ ფაშიზმთან გადამწყვეტ და გამანადგურებელ შეჯახებათა ამ დიად ისტორიულ მომენტში, საბჭოთა ხალხის სამამულო ლაშქრობის ამ გმირულ დღეებში ჩვენი პოეზია უფრო მაღალი და მძლავრი ხმით იმღერებს ვაჟკაცურ მებრძოლ პატრიოტულ საგალობელს. ამ სიმღერაში განსახიერდება ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხის ის ყოვლისდამთრგუნავი ძალა, რომელიც მომაკვდინებელ მახვილს ჩასცემს გათავხედებულ მტერს და საბოლოოდ იხსნის მთელ პროგრესიულ კაცობრიობას აღვირახსნილი ფაშისტური ტირანიისაგან.

საგუშაგოზე.

მ. გორკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო

18 ივნისს მწერალთა კლუბში გაიმართა დიდი პროლეტარული მწერლის მ. ა. გორკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატმა **ლეო ქიაჩელმა.**

მოხსენება თემაზე „გორკი, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი“ წაიკითხა **ვანო წულუკიძემ,** რომელმაც გორკის მთავარი ნაწარმოებების კონკრეტული გარჩევით დაასაბუთა შემდეგი დებულება: საკაცობრიო კულტურის ისტორიაში გორკი შევიდა, როგორც ლიტერატურის ახალი, სოციალისტური მიმდინარეობის შემომქმედი. გორკიმ შეიტანა და დაამკვიდრა მწერლობაში საუკეთესო თვისებები ყველაზე რევოლუციური კლასისა, რომელიც ჰქმნის ახალ ქვეყანას ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობათა საფუძველზე. ბრწყინვალე მხატვრულ ფორმებში გორკიმ გამოამჟღავნა კაპიტალისტური წესწყობილების ბუნება, მისი არაადამიანურობა, შექმნა მთელი გალერეა სოციალური ტიპებისა. კრიტიკული რეალიზმის სხვა დიდი წარმომადგენლებისაგან გორკი იმით განსხვავდება, რომ გორკის კრიტიკა ემყარება ბურჟუაზიული ურთიერთობის სოციალური რაობის სწორ, ნათელ გაგებას, რევოლუციურ მსოფლმხედველობას, და მეორე იმით, რომ გორკიმ პირველმა მხატვრულ მწერლობაში დაამკვიდრა პოზიტიური იდეები, დადებითი იდეალები, რომლებმაც გვაჩვენეს რეალური გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიაც ბურჟუაზიამ კაცობრიობა მოამწყვდია. ეს ორი ძირითადი თვისება გორკის მხატვრული შემოქმედებისა უდევს საფუძვლად სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასო — დაამთავრა მომხსენებელმა.

აკაკი გაწერელიამ ილაპარაკა გორკიზე, როგორც ახალი ტიპის ბუმბერაზ მწერალზე, რომელმაც გაამდიდრა არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურა ახალი თემატიკით, ახალი მოწინავე იდეებით, ახალი მხატვრული ფორმებით.

პ. კეშელავამ დამსწრეთ გააცნო ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რიგაში აღმოჩენილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, რომელიც მოწმობენ, რომ ჟანდარმერიას აუკრძალავს კ. მარჯანიშვილისათვის გორკის „მეშჩანების“ დადგმა. ამას მოჰყოლია საპროტესტო დემონსტრაცია და კ. მარჯანიშვილის დაპატიმრება. დოკუმენტები ცხადჰყოფენ კ. მარჯანიშვილის გატაცებას გორკის დრამატურგიით და ამ დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწის ახლო მეგობრობას ჩვენი ეპოქის უდიდეს მწერალთან.

პოეტმა **ვასო გორგაძემ** წაიკითხა მ. გორკის „ქარიშხალას“ საკუთარი თარგმანი.

დასასრულ, **ლადო გეგეჭკორმა** უამბო დამსწრეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის სტუმრობა გორკისთან და ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა მოახდინეს გორკიზე და მასთან სტუმრად მყოფ რომენ როლანზე.

ხელოვნების მუშაკთა და სტახანოველთა შეხვედრა

19 ივნისს ვოროშილოვის სახელობის კლუბში საქ. კ. პ. (ბ) **ბერიას** სახელობის რაიონული კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ინიციატივით მოეწყო საქართველოს ხელოვნების მუშაკების, საწარმოთა სტახანოველების და პარტიული და სამეურნეო მუშაკების შეხვედრა.

ბერიას სახ. რაიკომის მდივნის ამხ. **გ. ლუარსაბოვის** შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდა სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი **აკაკი ვასაძე,** რომელიც ხელოვნების მუშაკთა სახელით გულთბილად მიესალმა დამსწრეთ და ილაპარაკა საქართველოს ხელოვნების წარმატებაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში. განსაკუთრებულად შეეხო ორატორი რუსთაველის სახელობის **ლენინის** ორდენოსანი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაობას 1940-41 წლის სეზონში. მან დამსწრეთ გააცნო აგრეთვე თეატრის მომავალი სეზონის რეპერტუარი.

ამხ. ვასაძის სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ „ზარია ვოსტოკას“ სტამბიდან ამხ. **ალექსანდროვი,** საქ. სსრ სახ. არტისტი **ლ. გვარამაძე,** სტახანოველი **ანტონოვი,** კომპოზიტორი **კოკელაძე,** სტახანოველი **სიფრაშვილი** და კონსერვატორიის პარტბიუროს მდივანი ამხ. **ლომიძე.**

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელოვნების საუკეთესო ძალებმა.

ქართველი მწერლები

დაიბეჭდა და გამოვიდა იონა მეუნარგიას მიერ დაწერილი ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების პირველი ნაკვეთი, რომელშიაც მოთავსებულია: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ და „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

მასალა, რომელიც გაფანტული იყო ქართული პერიოდიკის ფურცლებსა და სხვა გამოცემებში, შეჰკრიბა და შეარჩია მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა.

კრებულს დართული აქვს: იონა მეუნარგიას, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტები. წიგნი გამოცემულია ს. ცაიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით საბლიტგამის მიერ, შეიცავს 212 გვ. და ღირს 10 მანეთად.

იბეჭდება აგრეთვე ამავე კრებულის მეორე ნაკვეთი, სადაც მოთავსებული იქნება გიორგი ერისთავის, მამია გურიელის, დავით ერისთავის, გ. ჭალადიდელის ბიოგრაფიები და მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ.

თვითმოქმედებით თეატრალურ კოლექტივებს მცირე ფორმის პიესები

თვითმოქმედებითი თეატრალური ხელოვნების ახლახან ჩატარებულმა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, თუ რა დიდი ინტერესია თეატრალური ხელოვნებისადმი ფართო მასაში. თვითმოქმედებითი თეატრალური ხელოვნება, ზეპირსიტყვიერებასა და ხალხურ მუსიკასთან ერთად, ახლა უკვე უდიდეს როლს თამაშობს მასების გართობასა და დასვენებასთან ერთად მათი მხატვრული გემოვნების ამაღლების, მათი კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ხალხური შემოქმედების სახლის ცნობების თანახმად, საქართველოში 1.200-ზე მეტი დრამატიული წრე არსებობს, რომლებიც აერთიანებენ წრეების 15.000-მდე წევრს. ამ წრეებით მოფენილია მთელი რესპუბლიკა. დრამატიულ წრეებს შეხვდებით ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, წითელარმიაში, სკოლებში. მათ შორის არა ერთი და ორი ისეთი კოლექტივია, რომელიც დღითი-დღე ცდილობს აამაღლოს თავისი ხელოვნება, რათა დააკმაყოფილონ მაყურებელთა გაზრდილი მოთხოვნილება. ამ წარჩინებული კოლექტივების რეპერტუარში შეტანილია ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“, ლავრენევის „რღვევა“, ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ნახუცრიშვილისა და გამრეკელის „კეცხოველი“ და მრავალი სხვა პიესა თანამედროვე და კლასიკურ რეპერტუარიდან.

თეატრალური თვითმოქმედების ზოგიერთი კოლექტივი იმდენად გაიზარდა, რომ შესაძლებელი გახდა მათი პროფესიულ ერთეულებად გადაქცევა. ბევრგან ეს კოლექტივები რაიონულ საკოლმეურნეო თეატრებად იქნენ გადაკეთებულნი.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კადრებს და ისიც თვითმოქმედებითს თეატრიდან წამოსულებს, პროფესიული თეატრის დიდი დახმარება დასჭირდებოდათ.

სასცენო ტექნიკის გართულებამ, თეატრალური კულტურის ზრდამ ამ კადრებისაგან დიდი შემოქმედებითი ენერგიის დაძაბვა მოითხოვა. ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ თვითმოქმედებითი თეატრალური წრეებისათვის საქართველოში ნაკლებად მოიპოებიან კვალიფიციური ხელმძღვანელები. ეს გარემოება მეტად ხელს უშლის იმას, რომ თვითმოქმედებითი ხელოვნების ეს საგრძნობი ძალა უფრო ძლიერ და მოძრავ შემოქმედებითს ძალად გადაიქცეს.

ალბათ, ამან დააფიქრა პროფესიული თეატრის ოსტატები, ამ გარემოებამ მიიყვანა ისინი იმ დასკვნამდე, რომ დახმარება გაეწიათ თვითმოქმედებითი თეატრალური წრეებისათვის, აეღოთ მათზე შეფობა და წრეებთან სისტემატური მუშაობით გაეღრმავებინათ მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

პროფესიული თეატრის ოსტატთა ეს მეტად საპატიო წამოწყება უსათუოდ დიდ გავლენას მოახდენს თვითმოქმედებითი თეატრის ზრდასა და განვითარებაზე.

მაგრამ ერთი მეტად სერიოზული გარემოება ხელს უშლის თეატრალური წრეების წინსვლას. ეს არის რეპერტუარის საკითხი. თვითმოქმედებით თეატრალურ წრეებს არა აქვთ შესაფერი რეპერტუარი. მათ უმთავრესად სჭირდებათ მცირე ფორმის პიესები, რომლებიც მაინცდამაინც რთულ სცენურ გაფორმებას არ მოითხოვენ.

ასეთი პიესებით დაინტერესებულია უამრავი კოლექტივი. ისინი იძულებულნი არიან ძველი რეპერტუარიდან გამოსძებნონ პიესები და მით შეავსონ თავიანთი რეპერტუარის დანაკლისი. საქმე ხშირად იქამდისაც კი მიდის, რომ სცენაზე სდგამენ ისეთ დაბალი ხარისხის პიესებს, როგორიც არის „მე მოვკვდი“ და სხვ.

მწერალთა წრეში რატომღაც გავრცელებულია განსაკუთრებული შეხედულება მცირე ფორმის პიესების გარშემო. თითქოს შეუძლებელი იყოს მწერალმა გაშალოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა მცირე ფორმის პიესაში, მცირე ფორმა ვერ დაიტევს დიდ ვნებასა და ხასიათებსო და სხვ. თითქოს ასეთი სახის პიესები სრულფასოვან შემოქმედებითს პროდუქციას არ წარმოადგენენ.

დრამატურგიის ისტორია კი სულ სხვა ფაქტებზე მიგვითითებს. დრამატურგიის საგანძურში მოიპოვება მრავალი მცირე ფორმის პიესა, რომელსაც უდიდესი როლი უთამაშნია თვით პროფესიული თეატრის განვითარების საქმეში. მოლიერის, ჩეხოვის, დავით კლდიაშვილის და სხვათა მცირე ფორმის პიესები ყოველთვის ამშვენებდნენ სცენის ოსტატთა რეპერტუარს, წარმოადგენდნენ მათი ნიჭის ნაყოფიერ საზრდოს.

ძველად განსაზღვრული იყო მცირე ფორმის პიესების გამოყენება. დღეს ასეთ პიესას მოითხოვს მრავალი კოლექტივი. მცირე ფორმის პიესა სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ვალდებულია თუ არა საბჭოთა დრამატურგი დაინტერესდეს ამ გარემოებით? დროა შევიგნოთ ის, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ერთმოქმედებიან თანამედროვე პიესებს. ამ ყველაზე უფრო პორტატიულ მობილურ, სცენურ გაფორმებისათვის იოლ პიესებს შეუძლიანთ ახლოს მივიდნენ მრავალ მაყურებელთან, შეიჭრან ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო შორეულ კუთხეში, მხატვრული სიტყვის საშუალებით მიიტანოს იქ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საგმირო ყოფა-ცხოვრება, ყოველდღიურობა.

მით უფრო ახლა სჭირდება თვითმოქმედებით თეატრალურ კოლექტივებს საბჭოთა დრამატურგების დახმარება. უნდა დაიწეროს ერთმოქმედებიანი პიესები, სკეტჩები, ორატორიები და მრავალი სხვა სახის ლიტერატურული მასალა თავდაცვითს თემებზე, ჩვენი ხალხის ბრძოლის გმირულ ეპიზოდებზე, წითელ არმიაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე და სხვ.

მაღალმხატვრულად დაწერილ ასეთი სახის დრამატურგიულ მასალას უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიან ჩვენი ქვეყნის ფართო მასებზე. ჩვენ ამისი უამრავი მაგალითი გვაქვს. სამოქალაქო ომის პერიოდში თვითმოქმედებითი კოლექტივები უშუალოდ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე გამოდიოდნენ, მიჰქონდათ მხატვრული სიტყვა მებრძოლებთან. იგივე კოლექტივები ფაბრიკა-ქარხნების კლუბებსა და წითელ კუთხეებში მხატვრული სიტყვით ესაუბრებოდნენ მაყურებლებს. სამეურნეო საკითხებზე, დღიურ აქტუალურ საკითხებზე.

ამ კოლექტივების გამოსვლას უდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. სასცენო მოედნებიდან მოსმენილი საბჭოთა მწერლების მხატვრული სიტყვა დიდ ზეგავლენას ახდენდა ფართო მასებზე.

ეს საპატიო გამოცდილება დაუყოვნებლად უნდა გამოყენებულ იქნას.

მწერალთა კავშირის დრამსექცია უფრო სერიოზულად უნდა მოეპყრას თვითმოქმედი თეატრის რეპერტუარის შექმნის საკითხს.

ხელოვნების საქმეთა სამმართველო, ხალხური შემოქმედების სახლი და განათლების კომისარიატი უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ თვითმოქმედებითს თეატრალურ წრეებისათვის მცირე ფორმის თანამედროვე პიესების შექმნით.

ამ ორგანიზაციებმა მწერალთა კავშირთან ერთად უნდა მიიღონ ზომები, რათა თვითმოქმედებითი თეატრალური კოლექტივები დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქნენ თანამედროვე რეპერტუარით.

ს. ლანდია.

ქუთაისის თეატრის გამოფენა თბილისში

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კლუბში 23 ივნისს გაიხსნა ქუთაისის თეატრის გამოფენა, რომელიც ასახავს თეატრის ისტორიას მისი დაარსებიდან დღემდე.

გამოფენა შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „ქუთაისში პირველი წარმოდგენის მომწყობნი და სცენის მოყვარენი“, „ქუთაისის თეატრი მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში“, „ქუთაისის თეატრი 1890-1920 წლებში“ და „ქუთაისის საბჭოთა თეატრი“.

პირველ სამ განყოფილებაში გამოფენილია ქუთაისში პირველი წარმოდგენის მომწყობთა, სცენის მოყვარეთა და მსახიობთა პორტრეტები, მათ შორის რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ეფემია მესხის, ვალერიან გუნიას, კოტე მესხის, შალვა დადიანის და სხვათა პორტრეტები. გამოფენილია აგრეთვე პირველი წარმოდგენის აფიშები, პლაკატები, პროგრამები და სხვ.

უკანასკნელ განყოფილებაში („ქუთაისის საბჭოთა თეატრი“) წარმოდგენილია ქუთაისის მთელი დასის წევრთა პორტრეტები, დადგმების ფოტო-სურათები, ტანისამოსისა და დადგმების ესკიზები, პროგრამები, მსახიობთა სურათები სხვადასხვა როლებში.

გამოფენილია აგრეთვე კოტე მარჯანიშვილისა და ლადო მესხიშვილის დიდი პორტრეტები, ბიუსტები კოტე მესხისა (სახ. მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ნამუშევარი) და ლადო მესხიშვილისა (მიხეილ ჭიაურელის ნამუშევარი).

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

შე 18264

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.